მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობათა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 13 აპრილი, 1949 წ. № 72 (8375). ფასი 20 კაპ.

ერთიანული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

მხარი დავუჭიროთ ლაგოდეხელ მექანიზატორთა თათბირს — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ალბანეთის კომუნიკე (1-ლი გვერდი).

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ენვერ ხოჯას დეპეშა ამხანაგ ი. ბ. სტალინს და ამხ. ა. ი. ვიშინსკის (1-ლი გვერდი).

ა. ნუცუბიძე — შემოქმედებითი მარჯვიზმის კლასიკური ნაწარმოებები (მე-2 გვერდი).

სტალინური პრემიის ლაურეატები (მე-2 გვერდი).

წინ მიდის სოფლის კულტურული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-4 გვერდი).

მხარი დავუჭიროთ ლაგოდეხელ მექანიზაჟორთა თათბირს

მანქანა-ტრაქტორთა სადგური გადამწყვეტი ძალა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში. მიღებული მოსავალი არის მტს-ის შუშაობის საზომი. მტს-ის საქმიანობა უწინარეს ყოვლისა შეფასდება იმის მიხედვით, თუ რა გააკეთა ძან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, ნათესბალახიანი თესლბრუნვის ასათვისებლად, ნიადაგის მეცნიერული წესებით დასამუშავებლად, ბალახების თესვის გასაფართოებლად, ესე იგი მიწათმოქმედების კულტურის ყოველმხრივ ასაღლებლად.

აქედან ცხადია, რომ მიწათმოქმედების კულტურის გადაჭრით ამაღლება, სტრაქტორო სამუშაოთა დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულება, ბრძოლა კოლმეურნეობებში უხეი და მყარი მოსავლისათვის მტს-ის ყველა მუშაკის ღირსებისა და სახელის საქმეა. მათ წინაშე მდგომი ამოცანების სწორად გაგების ნიმუშს იძლევიან ლაგოდეხის საყრდენ-სარეკენდელი მტს-ის მუშაკები. „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდა ლაგოდეხელ მექანიზატორთა მიმართვა საქართველოს სსრ მტს-ების ყველა ტრაქტორისტს, სატრაქტორო ბრიგადის, კომბაინერისა და ყველა მუშაკისადმი. ლაგოდეხელები გამოდიან სასარგებლო წინადადებით მოწყოს სოციალისტური შეჯიბრება 1949 წლის საწარმოო დაკალებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის, მიწათმოქმედების კულტურის აღმაღლებისათვის.

ლაგოდეხელთა ეს შესანიშნავი თაოსნობა ყოველმხრივ მისასალმებელია. ახლა, როცა საკოლმეურნეო წარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავების მეცნიერული სისტემის დანერგვას, ეს წინადადება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ საქმის წინ წაწევას.

ლაგოდეხის მტს-ის მუშაკთა მოწოდების ხმა გაისმის იმ მომენტში, როცა ჩვენი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები იმყოფებიან საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა ფაქიაბული პერიოდში. ცხადია, ეს მოწოდება სეზონურულ მაორგანიზებელ როლს შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განუხრელად განხორციელებაში, შარშან ლაგოდეხელმა მექანიზატორებმა მომსახურების ზონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 11,5 ცენტნერი მარცვლეული, გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით და თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე გამოიმუშავეს 368 ჰექტარი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ლაგოდეხის მტს-ის მუშაკებმა სეზონური ვალდებულებანი იკისრეს: საგაზაფხულო ხვნა-თესვა, ნიადაგისა და ნათესების კულტივაცია, მზრალად ხვნა, ანეულის მოხვნის გეგმები შეასრულონ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით კათელისწინებულ აგროტექნიკურ ვადებში; საგაზაფხულო, საშემოდგომო და მზრალად ხვნა ჩაატარონ მთლიანად წინასახნისანი გუთნებით, როგორც ეს რეკომენდებულია დიდი ოსეი მეცნიერის ვ. რ. ვილიამსის მიერ; მტკიცე დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ნათესბალახიანი თესლბრუნვის სწრაფად ათვისებისა და ბალახების თესვის გაფართოების საქმეში; საოხნი კულტურების ნათესების დასამუშავებლად ფართოდ გამოყენონ მექანიზაცია; ნაწვერალის მოხვნით უზრუნველყონ მეორე მოსავლის მოყვანა; სრულიად აღმოფხვრან ტრაქტორების გაცდენა ტექნიკური უწესორობის გამო.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ლაგოდეხელებმა სერიოზული მუშაობა გააჩაღეს. მოსკოველი წარჩინებული ფეიერის ალექსანდრე ჩუტკიხის მაგალითისამებრ უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ინშიკოვის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ვ. ბოგოლ ედდომაშენკომ და კრასნოდარის მხარის კურგანაიას რაიონის მიხაილოვის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ივანე მაკკომ წამოაყენეს წინადადება — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედების მაღალი კულტურის სატრაქტორო ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად. ამ შესანიშნავ ინიციატივას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მთელი საბჭოთა ქვეყნის მექანიზატორები. მხურვალე მოწონებით შეხვდნენ მას ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორების სადგურთა მუშაკებიც.

ლაგოდეხელები თავიანთ წერილში წერენ: „ჩვენ უკრაინელ მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს და მივაღწევთ იმას, რომ **საკოლმეურნეო მიწის თვითეული ჰექტარი დამუშავდეს მოწონავე აგრონომიული მეცნიერების წესების მტკიცედ დაცვით.**

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენზე, მტს-ების მუშაკებზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება. ჩვენი საამქრო საკოლმეურნეო მინდორია, ხოლო ჩვენი პროდუქცია მოსავალია. ამიტომ სამუშაოთა უადრესად მოკლე ვადებში და აგროტექნიკური წესების დაცვით შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მტს-ების მუშაკთა საბრძოლო ამოცანად დასახა ტრაქტორების დატვირთვის მკვეთრად გადიდება. ამ მოთიოვების განსახორციელებლად მტს-ების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება საუკეთესო ღონისძიებას წარმოადგენს.

მტს-ების შემდგომი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. „კომუნისტის“ 10 აპრილის ნომერში დაბეჭდილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქართველოს სსრ მტს-ების 1948 წლის მუშაობის შედეგების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებმა შარშან თავიანთი მუშაობის ეროგვარ გაუმჯობესებას მიაღწიეს. ყველა სახის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 114,1 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტრაქტორებით შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხი. ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის გადიდების შესაძლებლობათა და რეზერვთა გამოყენების დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახულია ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მტს-ების საუკეთესო მუშაობის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება განხორციელება მტს-ების მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა.

მხარი დავუჭიროთ ლაგოდეხელთა ინიციატივას, მოვაწყოთ მტს-ების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრება, ოპერატიულად, ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ მას, ხელი შევუწყოთ მუშაობის საუკეთესო ხარისხის სახელწოდების მომპოვებელ სატრაქტორო ბრიგადებს, ვთესოთ სწორფად, მტკიცე კონტროლი დავაწესოთ საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებისადმი, ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ მიჩურინ-ვილიამს-ლისენკოს აგრონომიული მეცნიერების საკოლმეურნეო მინდვრებზე მტკიცედ დანერგვისათვის!

გამოფენა „საბჭოთა საფირა“

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა მხატვრების ყაშირის საგამოფენო დარბაზებში გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა სატირა“, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის და მოკავშირე რესპუბლიკების გამოჩენილი მხატვრები. გამოფენას დიდი წარმატება აქვს. წარმოდგენილია კუკრინიკსების, ბორის ეფიმოვისა და პრეროკოვის ბევრი ნამუშევარი. საინტერესო ნამუშევრები წარმოადგენეს უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ესტონეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მხატვრებმა. საქართველოს სატირა წარმოდგენილია მხატვარ დონის (ნაცვლიშვილის) საინტერესო ნამუშევრებით. აქვეა მიხალკოვის იგავ-არაკის „კენგურუ“ ილუსტრაციები, შესრულებული მხატვარ კანდელაკის მიერ. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე გუროს კარიკატურები.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს IV სესია

ბათუმი, 11 აპრილი. (საქფესი). აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1949 წლის 27 აპრილს მოწვეულ იქნას ქალაქ ბათუმში აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი მეოთხე სესია.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს IV სესია

სოხუმი, 12 აპრილი (საქფესი). აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას 1949 წლის 27 აპრილს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი მეოთხე სესია სოხუმში.

საბჭოთა კავშირ-ალბანეთის კომუნიკე

აღბანეთის მთავრობის დელეგაციის მოსკოვს ყოფნის შესახებ

21 მარტიდან 10 აპრილამდე მოსკოვს იმყოფებოდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-პოლკოვნიკ ენვერ ხოჯას მეთაურობით და შემდეგი შემადგენლობით: სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი სპირო კოლეკა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კიჩო ტეოფოსი, ეაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვასილ კატე, მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ჯაფერ სპახიუ, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი შინაზი დრაგოტი. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ნეჯიბ ვინჩანი.

ალბანეთის დელეგაციის მოსკოვს ყოფნის დროს წარმოებდა მოლაპარაკება და თათბირი დელეგაციასთან, რასაც ეწეოდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიკოიანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, საგარეო ეაჭრობის მინისტრი მ. ა. მენშიკოვი.

მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ალბანეთისათვის კრედიტის წესით მოწყობილობისა და მასალების მიწოდებას, აგრეთვე ხელმოწერილ იქნა ოქმი 1949 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

მოლაპარაკება წარმოებდა მეგობრულ ვითარებაში, სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

მოსკოვიდან გაემგზავრა აღბანეთის მთავრობის დელეგაცია

11 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-პოლკოვნიკ ენვერ ხოჯას, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ სპირო კოლეკასა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ ნეჯიბ ვინჩანის შემადგენლობით.

მიმავალი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ, სსრ კავშირის საგარეო ეაჭრობის მინისტრის მოადგილემ ბ. ნ. კუზიკინმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ვ. აბრამოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილემ კ. დ. ლეონიჩინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-პოლკოვნიკ ენვერ ხოჯას, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ სპირო კოლეკასა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ ნეჯიბ ვინჩანის შემადგენლობით.

მიმავალი აგრეთვე გააცილეს მოსკოვში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მისიის წევრებმა დესპან ბ-ნ მ. პრიფტის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოების და მისიების მეთაურებმა.

ამავე დროს მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ალბანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. (საკადესი).

აღბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ენვერ ხოჯას სიტყვა

მოსკოვიდან გამგზავრებისას ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ენვერ ხოჯამ აეროდრომზე მიკროფონთან წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

„ძვირფასო საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

მივემგზავრები რა თქვენი მშვენიერი დედაქალაქიდან, სულით და გულით მოგესალმებით ალბანეთის მთავრობის დელეგაციისა და პირადად ჩემი სახელით და გამოვთქვამ დიდ მადლობას გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის და იმ სიმპათიისათვის, რომელსაც ჩვენი ხალხისადმი იჩენთ.

ჩვენი ხალხი წმიდად დაიცავს სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი და დიდი ბელადის გენერალისიმუს სტალინისადმი და ყოველ ღონეს იხმარს, რომ უფრო მტკიცე განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის.

ჩვენ აღფრთოვანებული ვართ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მშვიდობიანი შრომის დიდი წარმატებებით. მოგზაურობა ფაბრიკა, ქარხანა, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება, რომლებიც ჩვენ ვინახულეთ, მოწმობს სოციალისტური წყობილების სიდიადესა და უბადლო პროგრესს დიადი საბჭოთა კავშირის—მშვიდობის მტკიცე დასაყრდენისა და დიდ და მცირე ხალხთა სახელოვანი დამცველის ცხოვრების ყველა დარგში.

სულით და გულით ვუძღვნით მადლობას საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა ხალხს გენიალურ ბელადს დიდ სტალინს, რომლებმაც დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა ალბანელი ხალხისათვის ეკონომიური დახმარების . შესახებ და გაუწიეს მას ფასდაუდებელი დახმარება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში უკეთესი ცხოვრების აშენებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ **სტალინს!**

სამი გარდამავალი დროშა

ქასპი. (საკ. კორ.). ქასპელი მეცემენტეები სისტემატურად აჭარბებენ თვიურ, კვარტალურ და წლიურ დავალებებს. მაღალნაყოფიერი შრომისათვის ქარხნის კოლექტივი მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საშინაგანო მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშებს.

გასული წლის საწარმოო გეგმების გადაჭარბებებით შესრულებისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ქარხანას 13-ჯერ მიეკუთვნა ფულადი პრემია 194.000 მანეთის რაოდენობით.

მოსკოვი, კრემლი

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, პატივი მაქვს ალბანელი ხალხის, მისი თავრობისა და პირადად ჩემი სახელით გადმოგცეთ თქვენ და საბჭოთა ხალხს უდიდესი მადლობა იმ სიმპათიისა და მზრუნველობისათვის, რასაც თქვენ მუდამ იჩენდით ჩვენი ხალხისადმი, აგრეთვე გულთბილი და ვულითადი მიღებისათვის, რაც ჩვენს დელეგაციას მოუწყეს.

საბჭოთა ხალხი და თქვენ, დიდო სტალინ, ხართ ჩვენი პატარა ხალხის ფასდაუდებელი და ერთგული მეგობრები, თქვენ ეხმარებოდით მას ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების საქმეში და განუწყვეტლივ ეხმარებით ახლა ახალი უკეთესი ცხოვრების მოწყობის საქმეში.

იმ უდიდესი ეკონომიური და კულტურულ-საგანმანათლებლო დახმარებას მეოხებით, რასაც საბჭოთა კავშირი მუდამ გვიწევს და რაც ჩვენი ხალხისათვის წარმოადგენს მძლავრ საფუძველს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში, ჩვენი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ხალხი ყოველ ღონეს იხმარს მშვიდობის განსამტკიცებლად და იშრომებს ისე, რომ მისი სამშობლო ძლიერი და ბედნიერი გახდეს.

ჩვენი ხალხი უფრო განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის არსებობს, და წმიდად და ერთგულად დაიცავს სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი, თქვენდამი, დიდი და პატარა ხალხებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის სახელოვანო დამცველო.

ალბანელი ხალხი საბჭოთა ხალხს უსურვებს შემდგომ წარმატებებს, ხოლო თქვენ—ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს თქვენი პირადი ბედნიერებისათვის, საბჭოთა ხალხებისა და მსოფლიოს ყველა ხალხის საბედნიეროდ, რომლებიც თქვენ შემოგცქერიან, როგორც პროგრესული კაცობრობის ბელადს.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გენერალ ენვერ ხოჯა

მოსკოვი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ვიშინსკის

ვტოვებ რა მშობლიური საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, გთხოვთ ნება მიბოძოთ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით საბჭოთა მთავრობასა და პირადად თქვენ მოგახსენოთ უდიდესი მადლობა იმ გულთბილი მეგობრული მიღებისათვის, რაც ჩვენს დელეგაციას თქვენს მშვენიერ ქვეყანაში მოუწყეს.

თქვენს სამშობლოს ვტოვებთ უდიდესი მადლიერების გრძნობით. საბჭოთა მთავრობისა და მშობლიური დიდი სტალინის მზრუნველობის მეოხებით ჩვენს ხალხს გაეწია უანგარო და ფასდაუდებელი ეკონომიური და კულტურულ-საგანმანათლებლო დახმარება, რაც ჩვენი მშრომელი ხალხის საუკეთესო ცხოვრების მტკიცე საფუძველს შეადგენს.

ჩვენი ხალხი ყოველ ღონეს იხმარს მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი და დიდი სტალინი.

მე მსურს, ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, გაცნობოთ აგრეთვე ჩვენი აუწერელი სიხარული და აღტაცება იმ დიდებული შემოქმედებითი მუშაობის გამო, რაც გაჩაღებულია ყველგან, — ფაბრიკებში, ქარხნებში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში, — აღტაცებული ვართ საბჭოთა ადამიანების მხურვალე პატრიოტიზმით, მათი უსაზღვრო სიყვარულით მშობლიური სტალინისადმი და სიყვარულით, რასაც ისინი იჩენენ მსოფლიოს ყველა ხალხისადმი და განსაკუთრებით ალბანელი ხალხისადმი.

სულითა და გულით გისურვებთ, ბატონო ვიშინსკი, ჯანმრთელობას და შემდგომ დიდ წარმატებებს საბჭოთა კავშირის სტალინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის მუშაობაში.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და
საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ენვერ ხოჯა

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

პირველად ჯილდოები მიიღეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც დაჯილდოებული ორაონ ახალი, მაღალპროდუქტიული ქართული ჯიშის ცხვრის გამოყვანის დარგში წარმატებითი მუშაობისათვის.

ლენინის ორდენი გადაეცა ახალი ქართული ჯიშის ცხვრის გამომყვანს, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცხვარეობის განყოფილების გამგეს, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატს ა. ვ. ნატროშვილს.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო ა. ნ. ქურიძემ, „სპასატო ნიშნის“ ორდენი—ს. გ. თვალჭრელიძემ და ე. ი. ფირეკემა.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო ორმა კაცმა.

შემდეგ ორდენები და მედლები ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის გადაეცა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს, ტრესტ „საქნახშირგეოლოგიისა“ და მინერალური ნედლეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მუშაკთა ჯგუფს.

ლენინის ორდენი მიიღო ა. ნ. ტერმარტიროსიან-ტერიანმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღეს ა. ა. თვალჭრელიძემ, ა. ბ. კაკაბაძემ, ი. ა. ნაგორნაიამ, ა. ე. სვერდლენკომ, თ. გ. ყაზახაშვილმა.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 21 კაცმა, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“—29 კაცმა.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ ორდენებისა და მედლების მიღება და უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ა. გ. ნატროშვილმა.

(საქფესი).

სტალინური პრემიის ლაურეატები

ი. ვ. თოლიძე
მხატვარი

ნ. შ. რამიშვილი
მსახიობი

ი. ი. სუხიშვილი
მსახიობი

ს. ბ. ვირსალაძე
მხატვარი

შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნაწარმოები

(ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე ტომის ქართულად გამოსვლის გამო)

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე ტომი შეიცავს გენიალურ ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ეს ნაშრომი ლენინმა დაწერა საპატიმროსა და გადასახლებაში ყოფნის დროს, 1896-1899 წლებში. პირველად იგი გამოქვეყნდა 50 წლის წინათ, 1899 წლის აპრილის პირველ ნახევარში (ახალი სტილით).

ლენინის ამ ნაშრომის გამოსვლას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რუსეთისთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. რუსეთის ეკონომიკის მაგალითით ღრმად დახასიათებულია კაპიტალიზმის განვითარების საერთო კანონზომიერებანი და, მაშასადამე, ეს ნაშრომი სახელმძღვანელოა ყველა ქვეყნის რევოლუციონერთათვის.

წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ტიპის პარტიის, ბოლშევიკური პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციული პრინციპების გამომუშავებაში. მარქსის „კაპიტალთან“ ერთად იგი მუშათა კლასის ძლავრი იდეოლოგიური იარაღია ძირმომპალი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, ლენინის წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მიმართული იყო ნაროდნიკების წინააღმდეგ. ლენინმა ამ ნაშრომით საბოლოოდ დაამთავრა ნაროდნიკების იდეური განადგურება, მაგრამ ამ წიგნის მახვილი სწვდებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის სხვა ჯურის მტრებსაც — ლეგალურ მარქსისტებს, ეკონომისტებს, სოციალ-რევოლუციონერებს და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ წიგნში გამოყენებულია 400 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, 220 სქელტანიანი სტატისტიკური კრებული, მრავალი ბუღალტრის საერობო-სტატისტიკური მონაცემები, უამრავი საგლეხო საბიუჯეტო მასალა და სხვ., ნათელი გახდება, თუ რა უზარმაზარი მუშაობა გასწია ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომის შესაქმნელად.

ძირითადი ამოცანა, რასაც ლენინი ამ ნაშრომში ისახავდა, ის იყო, რომ ეჩვენებინა, თუ როგორ იქმნება რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზარი. ეს საკითხი შემთხვევით არ დასმულა. საქმე ის იყო, რომ რუსეთის ეკონომიურ განვითარებას და იმ ახალ მოვლენებს, რომლებიც მაშინ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჭრებოდნენ, ნაროდნიკები აფასებდნენ არასწორად, სუბიექტურ-იდეალისტურად, რეაქციულად. ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, თითქოს კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში საფუძველი არ გააჩნდა.

მასების გაღატაკება, წვრილ მწარმოებელთა გადაქცევა დაქირავებულ მუშებად, ნაროდნიკების აზრით, ავიწროებდა შინაურ ბაზარს, რაც შეუძლებელს ხდიდა ქვეყნის შიგნით ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას. ამ სიძნელისათვის თავის დაღწევა, მათი შეხედულებით, შეიძლებოდა მხოლოდ საგარეო ბაზრის საშუალებით. მაგრამ, ამბობდნენ ისინი, საგარეო ბაზარი რუსეთისათვის, როგორც კაპიტალიზმის განვითარების გზაზე დაგვიანებით გამოსული ქვეყნისათვის, მიუწვდომელია, და ამიტომ კაპიტალიზმი რუსეთში უნიადაგო და უსიცოცხლოოო.

ნაროდნიკები ყოველმხრივ იცავდნენ და აიდეალებდნენ შუასაუკუნეობრივ სამეურნეო ფორმებს, შრომით ანაზღაურების სისტემას, თემურ წყობილებას, იცავდნენ ყოველივე მოძველებულსა და რუტინულს, როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში; თვალს არიდებდნენ იმას, რაც ახალი იყო შემდგომი განვითარების თვალსაზრისით; ნაროდნიკები უარყოფდნენ ბლეხობის დაშლას და ახალი სამეურნეო ტიპების გაჩენას სოფლად. ისინი უარყოფდნენ მიწათმოქმედების სავაჭრო ხასიათს, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, მანქანების მნიშვნელობას, კაპიტალიზმის პროგრესულობას წინააღმდეგ ფორმებით შედარებით, პროლეტარიატის როლს და სხვ.

წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ლენინმა გაიკვლია ნაროდნიკების შეხედულებანი და დაამტკიცა კაპიტალიზმის განვითარების გარდუვალობა რუსეთში. ამასთანავე მან ნათლად გვიჩვენა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი რევოლუციურ მოძრაობაში.

ლენინმა მარქსის რეალიზაციის თეორიის გამოყენებით ცხადად გვიჩვენა რუსეთში შინაური ბაზრის არა შემცირება, არამედ მისი გაფართოება, ამასთანავე ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის საკითხი დაუკავშირა არა საგარეო ბაზრის პირობებს, არამედ შინაური ბაზრის გაფართოების რეალურ სინამდვილეს.

რუსეთის კაპიტალიზმისათვის შინაური ბაზრის შექმნის საკითხი ლენინმა ჯერ კიდევ 1893 წელს დაასაბუთა თავის სტატიაში: „ეგრეედწოდებული ბაზრის საკითხის გამო“. ამ სტატიაში ლენინმა შემოქმედებითად გამოიყენა მარქსის ცნობილი სქემა მარტივი და გაფართოებული რეპროდუქციის შესახებ.

შინაური ბაზრის გაფართოებას ლენინი ხსნის საწარმოო მოხმარების (ე. ი. წარმოების საშუალებათა გადაქცევა კაპიტალად) გადიდებით, მაშინ, როცა ნაროდნიკები ემყარებოდნენ პირადი მოხმარების (ე. ი. საარსებო საშუალებათა მოხმარება) შემცირების ფაქტს.

მარქსის რეალიზაციის თეორიის საფუძველზე ლენინი აყენებს დასკვნას: „კაპიტალისტური წარმოება და, მაშასადამე, შინაური ბაზარი იზრდება არა იმდენად მოხმარების საგნების ანგარიშზე, რამდენადაც წარმოების საშუალებათა ანგარიშზე. სხვანაირად რომ ითქვას: წარმოების საშუალებათა ზრდა წინ უსწრებს მოხმარების საგანთა ზრდას“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 43-44, სახელგამი, 1948 წ.).

წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის კაპიტალიზმის დროს წარმოადგენს იმ ძირითადი წინააღმდეგობის გამოხატულებას, რომელიც არსებობს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის.

საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის შესაძლებლობის დახასიათებასთან ერთად ლენინი გვიჩვენებს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ყველა წინააღმდეგობას, წარმოების ანარქიას, კრიზისებს, უმუშევართა არეულ-დარეულ არმიის გაჩენას და სხვ.

შინაური ბაზრის შექმნისა და კაპიტალიზმის განვითარების საილუსტრაციოდ ლენინი მიუთითებდა ძველი, საბატონო მეურნეობის შეცვლაზე კაპიტალისტური მეურნეობით. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა გლეხობის დაშლა, რომელიც ყველა ეკონომიური წინააღმდეგობის ერთობლიობის მაჩვენებელი იყო სოფლად. სოფლად შეიქმნა ახალი ტიპები, ე. ი. სოფლის ბურჟუაზია და სოფლის პროლეტარიატი. „გლეხობის გადაქცევა სოფლის პროლეტარიატად, — წერდა ლენინი, — ქმნის უმთავრესად მოხმარების საგნების ბაზარს, მისი გადაქცევა კი სოფლის ბურჟუაზად ქმნის უმთავრესად წარმოების საშუალებათა ბაზარს“ (გვ. 178).

ლენინის დახასიათებით რუსეთის მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის შეჭრის და შინაგანი ბაზრის გაჩენის უდავო ფაქტს წარმოადგენდა კარჩაკეტილი, ნატურალური ხასიათის, რუტინული ტექნიკის მქონე საბატონო სამეურნეო ურთიერთობის შეცვლა საკუთრო მიწათმოქმედებით, შრომით ანაზღაურების სისტემის შეცვლა კაპიტალისტური ანაზღაურების სისტემით, ნატურალური წარმოების შეცვლა სასაქონლო კაპიტალისტური წარმოებით.

მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების ზრდამ ხელი შეუწყო შინაური ბაზრის გადიდებას. მანქანის კაპიტალისტურმა გამოყენებამ გაადიდა სამუშაო დღე, მუშების ექსპლოატაცია, შესაძლებელი გახადა ბავშვების და ქალების შრომის ფართო გამოყენება. მანქანები წარმოებაში აბამენ ბავშვებულ მუშებს და კიდევ აძევებენ მუშებს წარმოებიდან, აჩქარებენ უმუშევართა სარეზერვო არმიის შექმნას. ამგვარად, მანქანების კაპიტალისტურმა გამოყენებამ გააძლიერა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი.

კაპიტალიზმის დამახასიათებელ ძირითად წინააღმდეგობათა გენიალური ანალიზი, რომლებიც 50 წლის წინათ მოგვცა ვ. ი. ლენინმა, უდიდეს დადასტურებას პოულობს ამჟამად, იმპერიალისტური კაპიტალიზმის პირობებში, როცა ეს წინააღმდეგობანი უკიდურეს მოჯნიმდეა მისული. კაპიტალიზმის დაცველები ამჟამად ყოველმხრივ ცდილობენ მიჩქმალონ ეს წინააღმდეგობანი, გამოიცხადონ კაპიტალიზმი ძველი ტკივილებისაგან განკურნებულად, მაგრამ ლენინის წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ უდიდესი ძალით გვიჩვენებს, რომ ამათა ცდა წარმოდგენილი იქნას კაპიტალიზმი მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა გარეშე, რომ შემცდარი და უსაფუძვლოა კაპიტალისტური სისტემის დაცველთა ცდა წარმოგვიდგინონ კაპიტალიზმი კრიზისების, ანარქიის, უმუშევრობის და სხვა მანკიერებათა გარეშე.

ლენინი რუსეთის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების სამ სტადიას აღნიშნავს. ასეთია: წვრილი სასაქონლო წარმოება, კაპიტალისტური მანუფაქტურა და ფაბრიკა ანუ მსხვილი მანქანური ინდუსტრია. სამივე ეს ფორმა ერთმანეთისაგან უწინარეს ყოვლისა განირჩევა ტექნიკის სხვადასხვა დონით.

ნაროდნიკები ამ ფორმათაგან მეტ მნიშვნელობას წვრილ წარმოებას ანიჭებდნენ, თვლიდნენ რა მას „სახალხო წარმოებად“. ნამდვილად კი ლენინის დახასიათებით ნაროდნიკების „სახალხო წარმოება“ ექსპლოატაციის ყველაზე ჩამორჩენილი და მწვავე ფორმა იყო. ისე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, წვრილი სასაქონლო წარმოება რუსეთშიც წარმოადგენდა ძირითად ბაზას კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ეს პროცესი რუსეთში უმთავრესად არა ამქრული სარეწების, არამედ შინამრეწველობისა და გლეხური სარეწების ფორმით წარიმართა. წვრილი გლეხური სარეწები მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის საფუძველი გახდა.

(ალკეულ დაქსაქსულ გლეხურ სარეწთა და ხელოსანთა მარტივ კაპიტალისტურ კოოპერაციად გაერთიანების სამეში განსაკუთრებული როლი შასრულა სავაჭრო კაპიტალმა. ლენინი დაწვრილებით იხილავს სავაჭრო კაპიტალის როლს, რომელმაც წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე რუსეთშიც.

მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციიდან გადასვლა ხდება კაპიტალისტურ მანუფაქტურაში. მანუფაქტურა შრომის დანაწილებაზე დამყარებულ კოოპერაციას წარმოადგენს. მანუფაქტურა იყო შემდგომი ნაბიჯი წინ, კაპიტალიზმის განვითარების საქმეში. ლენინმა აღმოაჩინა რუსეთისათვის დამახასიათებელი მანუფაქტურის ახალი ტიპი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ქვეყნებისთვისაც. ეს იყო მსხვილი მანუფაქტურული სახელოსნოს შეთავსება შინ მუშაობასთან, როგორც მანუფაქტურის დანამატთან.

ლენინი ამ ტიპის მანუფაქტურის აღმოჩენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ცდა იმისა,—წერდა ლენინი, — რომ მთელი რიგი ეგრეეწოდებული „შინამრეწველური“ სარეწები წარმოდგენილ იქნას როგორც რუსეთის კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადია, თუ არ ვცდები, ჩემს წიგნში **პირველად** მოხდა...“ (გვ. 733-734).

მიუხედავად იმისა, რომ მანუფაქტურა მარტივ კაპიტალისტურ კოოპერაციასთან შედარებით მაღალ საფეხურს წარმოადგენდა ტექნიკის განვითარების მხრივ, ისინი დიდად მაინც არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. პირიქით, ტექნიკის ჩამორჩენილობა მანუფაქტურას აახლოებდა არა მარტო მარტივ კაპიტალისტურ კოოპერაციასთან, არამედ წვრილ სარეწებთანაც კი.

სრული გადატრიალება ტექნიკის განვითარებასა და საწარმოო ურთიერთობაში მოახდინა მანქანურმა ინდუსტრიამ. „ეხლოდან მსხვილი მანქანური ინდუსტრია, — ამბობს ლენინი, — ახდენს რადიკალურ ცვლილებას, აძევებს ხელით მუშაობის ოსტატობას, გარდაქმნის წარმოებას ახალ, რაციონალურ საფუძველზე, სისტემატურად იყენებს წარმოებაში მეცნიერების მონაცემებს“. (გვ. 644).

ლენინი მრავალი მასალით გვიჩვენებს მანქანური ინდუსტრიის განვითარების ფაქტს რუსეთში, ფაბრიკებისა და ქარხნების გავრცელებას, სამთო მრეწველობის განვითარებას, განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთსა და ურალში.

ნაროდნიკების მტკიცება იმის შესახებ, თითქოს საფაბრიკო-სამქარხნო მუშებს არ ემჩნეოდა ზრდა, სრულებით არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ლენინმა დაამტკიცა, თუ რა სისწრაფით იზრდებოდა სამრეწველო პროლეტარიატი რუსეთში. ამასთანავე ლენინმა აღნიშნა კაპიტალიზმის ნელი განვითარება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რის გამოც რუსეთი კვლავ აგრარულ ქვეყნად რჩებოდა.

დასასრულ, ლენინმა უდიდესი თეორიული სიღრმით გააშუქა საკითხი კაპიტალიზმის ისტორიული მისიის შესახებ, რაც კაპიტალიზმის მიერ საზოგადოებრივი შრომის სარეზერვო ძალთა გადიდებასა და განსაზოგადოებაში მდგომარეობდა. მაგრამ კაპიტალიზმის ეს პროგრესული მხარე ღრმა წინააღმდეგობაშია საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებასთან.

ლენინმა მთელი სიცხადით გვიჩვენა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის, რაც კაპიტალიზმის სხვა მრავალ წინააღმდეგობათა საფუძველს შეადგენს.

ახასიათებდა რა კაპიტალიზმის პროგრესიულობას, ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ლენინი ამასთანავე ხაზს უსვამდა კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს, მიუთითებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობებზე, რომელთა გადაწყვეტაც შეიძლებოდა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით.

დიდი და განუზომელია ლენინის გენიალური ნაშრომის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მნიშვნელობა. იგი მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის შემდგომი განვითარების საუკეთესო ნიმუშია.

ამ ნაშრომზე აკადემიკოსის რეცენზიის გამო დაწერილ სტატიაში „არაკრიტიკული კრიტიკა“, ლენინი ბურჟუაზიული მეცნიერებისადმი დამოკიდებულების შესახებ ამბობს: „ერთია დაინახო ბურჟუაზიული მეცნიერება, თვალყური ადევნო მას, გამოიყენო იგი, მაგრამ **კრიტიკულად** მოეკაკრო მას და არ დაარღვიო საკუთარი მსოფლმხედველობის მთლიანობა და გარკვეულობა, მეორეა — ქედი მოიხარო ბურჟუაზიული მეცნიერების წინაშე...“, (გვ. 750).

50 წლის წინათ დაწერილი ლენინის ეს სიტყვები დღესაც სახელმძღვანელოა ყველა საბჭოთა მეცნიერისათვის.

ლენინის წიგნის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ — შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქებისათვის. ამ ნაშრომის შესწავლა ამაღლებს ადრეანის თეორიულ-ეკონომიური მომზადების დონეს.

ა. ნუცუბიძე

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 აპრილის ცნობებით)

აპრილის მეორე ხუთდღეურში მოხნულია 30 ათას ჰექტარამდე ფართობი, სულ კი 10 აპრილისათვის — 168.765 ჰექტარი და გეგმა შესრულებულია 48,7 პროცენტით.

გარდაბნის რაიონმა ხვნის დავალება თითქმის ორმაგად შეასრულა, ყვარლის რაიონმა — 120,8 პროცენტით, წალენჯიხის — 99,3, წულუკიძის—99, კაჯრეთის — 96,6, ჩხოროწყუს—90, თბილისის—90,8, აბაშის—86,4, ცხაკაიას — 79,8, გეგეჭკორის—74,3, ხუდადიოს—81,7, ფოთის—85,6, სამტრედიის—86,4, ვანის—72,5, მაიაკოვსკის—82,7, ქლუხორის — 78,7, თელავის—70,5, ახმეტის—74, ლაგოდეხის—85,2, მცხეთის — 85,4, ბოლნისის—85,2, საგარეჯოს—27,1 პროცენტით და სხვ.

კოლმეურნეობებმა 10 აპრილისათვის დათესეს 54.201 ჰექტარი, გეგმის 10,5 პროცენტი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში თესვის გეგმა 1,2 პროცენტით არის შესრულებული, აჭარის ასს რესპუბლიკაში—0,3 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 11,4, ქლუხორის რაიონში—78,8, თბილისის—52,6, კაჯრეთის — 45,8, ყვარლის—38,5, ქარელის — 30,4 პროცენტით. თესვის დავალებები 20-ზე მეტი პროცენტით შეასრულეს აგრეთვე გარდაბნის, ახმეტის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის, სიღნაღის, გორის, კასპისა და ხაშურის რაიონებმა.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული ბოლნისის, ლაგოდეხის, ყვარლის, კაჯრეთის, გურჯაანის, კასპისა და ქლუხორის რაიონებში. ქარელის რაიონმა გეგმა 93,8 პროცენტით შეასრულა, თბილისის — 91, მცხეთის—89,5, ახმეტის — 88,5, თელავის—74,3, სიღნაღის — 68,9, ახალციხის—68,2, ქედმი სვანეთის რაიონში—64,4 პროცენტით. დანარჩენ რაიონებში დაგალება უფრო ნაკლები პროცენტითაა შესრულებული.

კოლმეურნეობებში დათესილია 4.425 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, აქედან აპრილის მეორე ხუთდღეურში — 2.313 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 73,7 პროცენტით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თესვის გეგმა 33,8 პროცენტით არის შესრულებული, ქარელის რაიონში—96,3, გორის — 89,8, ხაშურის—65,5, კასპის რაიონში—65,2 პროცენტით.

მზესუმზირას თესვის რესპუბლიკური გეგმა 52,7 პროცენტით არის შესრულებული. დავალება წარმატებით შეასრულეს თელავის, ყვარლის, ახმეტისა და მცხეთის რაიონებმა. კაჯრეთის რაიონში გეგმა შესრულებულია 94,2 პროცენტით, ლაგოდეხის—85,7, თბილისის—77,8, გურჯაანის — 70, წითელწყაროს—48,4 პროცენტით.

საგარეჯოს რაიონში მზესუმზირას თესვის დავალება მხლოდ 17,4 პროცენტით არის შესრულებული, სიღნაღის—33,3, თეთრი წყაროს რაიონში—28,1 პროცენტით.

„თბილვაჭრობის“ მუშაკთა აქტივის ვალდებულებანი

„თბილვაჭრობის“ მუშაკთა აქტივის საქალაქო კრებამ, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, განიხილა სავაჭრო ქსელში 1948 წლის გეგმების შესრულების შედეგები და დასახა ღონისძიებანი მომიჯნავე წელს საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმათა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესასრულებლად.

„თბილვაჭრობის“ მუშაკთა აქტივის კრებამ აიღო კონკრეტული ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართა საქართველოს სსრ საბჭოსწიფო ვაჭრობის მუშაკებს. მიმართვაში აღნიშნულია, რომ პროდუქტების რეალიზაციამ მარტო სახელმწიფო სავაჭრო ქსელში 1948 წელს ცალკე საქონლის მიხედვით მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლის ფიგურებს, მათ შორის: ხორცის პროდუქტებზე — 36,8 პროცენტით, საქონლის ცხიმეულზე — 69,9, ზეთსა და მარგარინზე — 69,1, თევზის ნაწარმზე — 137,2, ყველზე — 236,1 პროცენტით. შაქრის რეალიზაციამ 1948 წელს 1940 წელთან შეფარდებით მიაღწია 96,4 პროცენტს.

სამრეწველო საქონლის ძირითად სახეობაში — ბამბის ქსოვილების, საოჯახო საპნის და რეზნის ფეხსაცმლის რეალიზაცია მოუსწავლია 1940 წლის დონეს, ხოლო შალეულის ქსოვილების რეალიზაციამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მას.

„ჩვენს წინაშე, ვაჭრობის მუშაკთა წინაშე, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — 1949 წელს დგას გადაუდებელი ამოცანები: თვიდან თვემდე სისტემატურად შევასწოროთ და გადავაჭარბოთ საქონელბრუნვის ჩვენთვის დაწესებულ გეგმებს, ვაწარმოოთ გადამყიდველი ბრძოლა ყველა სახის ზედმეტი ხარჯების წინააღმდეგ, უზრუნველყოთ თვითეული საწარმოს რენტაბელობა, გავაუმჯობესოთ ზრუნვა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“.

„თბილვაჭრობის“ მუშაკთა აქტივმა იკისრა: შრომის ნაყოფიერების გადიდებით, სავაჭრო ქსელის გამსხვილებით, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სამართველო ხარჯების შემცირებით, ავტოტრანსპორტის უნარიანად გამოყენებით, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვითა და სხვა ღონისძიებათა გატარების გზით დაზოგონ 1949 წლის გეგმის მიხედვით სახელმწიფოს მსცენ 1.200 ათასი მანეთის ეკონომია.

სტალინური პრემიის დაჯილდოებულნი

ჟ. ე. ბახტაძე
სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი

ს. ზ. მახათელაშვილი
აგრონომი

ჩაის ახალი ჯიშების შემქმნელი

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე თავის სალაგარეშო მოხსენებაში ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „იმისათვის, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩვენი საკუთარი ჩაით, საჭიროა რამდენჯერმე გადიდდეს ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი“.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაის ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანას, რასაც მთელი თავისი ცოდნით და უნარით მაღალნაყოფიერად ემსახურება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ქსენია ბახტაძე. ი. მიჩურინისა და ტ. ლისენკოს მეთოდების გამოყენებით მან შეძლო არა მარტო გამოეყვანა ჩაის პირველი სელექციური ჯიშები, არამედ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, დაედგინა გარკვეული სისტემა ჯიშების გამოყვანისა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში ჩაის გასავრცელებლად.

უკეთეს მცენარეთა შერჩევა მათი სამეურნეო ღირებულების მიხედვით, ხელოვნური დამტვერვა, მცენარეთა აღზრდა მოწინავე აგროტექნიკის საფუძველზე — აი ძირითადად ის გზები, რომლებმაც მიიყვანა ეს სახელოვანი მეცნიერი კარგ შედეგებამდე.

საქართველოს რაიონებისათვის ამხ. ბახტაძემ უკვე გამოიყვანა ჩაის ორი პირველი სელექციური ჯიში „ქართული № 1“, „ქართული № 2“.

გამოყენანილ ჯიშები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჩვენში გავრცელებული ჩაისაგან მთელი რიგი სამეურნეო თვისებებით. მათი მოსავლიანობა 35-50 პროცენტით უფრო მაღალია ჩვეულებრივ ჯიშებზე. უფრო მაღალია ხარისხის მაჩვენებლებიც. მათი გადასამუშავებელი დუღაბი უფრო დიდი და მძიმეა, მცენარეები შპალერში უფრო მაღალია. დიდი დუღაბი და მაღალი შპალერები აადვილებენ ფოთლის კრეფას. გარდა ამისა, ჩაის ახალი ჯიშები კრეფის პერიოდში თანაბარ მოსავალს იძლევიან, ვიდრე ჩაის დღემდე გავრცელებული ჯიშები, რომლებიც ჩვეულებრივად მოსავლის უმეტეს ნაწილს კრეფის დაწყების პერიოდში გვაძლევენ, რაც ქმნის სიძნელეებს ფოთლის კრეფასა და გადამუშავებაში. სელექციური ჯიშების მოსავალი კი უფრო თანაბრად ნაწილდება კრეფის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს ჯიშები სხვებზე უფრო მეტ მოსავალს იძლევიან ივლისსა და აგვისტოში.

გამოყვანილ ახალ ჯიშთა შორის განსხვავება ის არის, რომ „ქართული № 1“ უკეთესი ხარისხის ჩაას იძლევა, „ქართული № 2“ კი ყინვის უფრო ამტანია და მეტ მოსავალსაც იძლევა. ორივე ეს ჯიში გაშენებულია ნატანების, ლაითურისა და მოქვის საბჭოთა მეურნეობების ცალკეულ ნაკვეთებზე და ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. გაუმჯობესებული და უხვმოსავლიანი ჯიშის ჩაის ფართობი ჩვენში წლითი წლობით დიდდება. ნატანების საბჭოთა მეურნეობაში გაშენებულია ადგილ ბეჭრებიც, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩაის პლანტაციების შემდგომ ზრდას.

მოწინავე მეცნიერი სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ქსენია ბახტაძე წარმატებით მუშაობს ჯიშების გამოყვანაზე ჩაის ახალი რაიონებისათვის, პირველ რიგში აზერბაიჯანის სსრ რაიონებისა და კრასნოდარის მხარისათვის.

კახური დაჯოგვილი ხორბალი

დიდი რუსი მეცნიერის ი. ვ. მიჩურინის მოძღვრება მეცნიერული ბიოლოგიის საფუძველია. მიჩურინის მოძღვრება იძლევა იმის გასაღებს, თუ როგორ შეიძლება გარდავქმნათ მცენარისა და ცხოველის ბუნება სასურველი მიმართულებით. საკმარისია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ უკვე გვაქვს ხორბლის მთელი რიგი საშემოდგომო ფორმები, რომლებიც მიღებულია საგაზაფხულო ხორბლიდან და რომლებიც ყინვაგამძლეობით არ ჩამოუვარდებიან, ხოლო ზოგიერთნი კიდევაც სჯობობენ პრაქტიკაში ცნობილ ყველაზე უფრო ყინვაგამძლე ჯიშებს.

ხორბლის უხვმოსავლიან ჯიშებს მიეკუთვნება კახური დატოტვილი ხორბალი. ამ ჯიშზე 1940 წლიდან მუშაობს თელავის რაიონის სოფელ კურდღლეაურის 26 კომპლის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ამხ. ს. მახათელაშვილი. მის მიერ ჩატარებულმა ცდებმა კარგი შედეგი გამოიღო. ამ ჯიშიდან 1941 წელს ჰექტარზე მიიღეს 49,6 ცენტნერი ხორბალი, ხოლო 1948 წელს, მიუხედავად ძლიერი დასეტყვისა (60-70 პროცენტი) — 16 ცენტნერი, მაშინ, როცა სხვა ადგილობრივი ჯიშებიდან მიღებულ იქნა ჰექტარზე 4 ცენტნერი ხორბალი.

კახური დატოტვილი ხორბალი უხვ მოსავალს უკვე იძლევა სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონებში და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებშიც.

ამხ. მახათელაშვილი ამ ჯიშის გამრავლებითა და წარმოებაში დანერგვით როდი დაკმაყოფილდა. მან დაიყენა მრავალი ცდა სხვადასხვა ჯიშზე. ამ შრომისაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. გამოყვანილია ახალი ჯიში—თეთრი ჭვავი. ეს ჯიში წლების განმავლობაში იძლევა საშოვლოდ ჰექტარზე 50-75 ცენტნერ მოსავალს. მისი უპირატესობა ის არის, რომ იგი ოშვიათად ავადდება, ყინვაგამძლეა, არ ახასიათებს ჩაწოლა. ამ ჯიშის სიმაღლე ორ მეტრს აღწევს. თესვის ნორმა ჰექტარზე 80-100 კილოგრამით განისაზღვრება, ნაცვლად სხვა ჯიშებისათვის მიღებული 160-170 კილოგრამისა.

1948 წელს თეთრმა ჭვავმა, მიუხედავად დასეტყვისა, ჰექტარზე მოგვცა 22,5 ცენტნერი მოსავალი. ეს ჯიში გამოსაცდელად გადაეცა საქართველოს ჯიშთა გამოცდის პუნქტებს. ეჭვი არ არის, რომ ჭვავის ეს ჯიშიც, როგორც კახური დატოტვილი ხორბალი, დიდი მოსავლის მომცემი გახდება და ფართო გავრცელებას ჰპოვებს.

ამხ. მახათელაშვილის შრომა დიდად შეფასდა. იგი ჩაედა სტალინური პრემიის ლაურეატთა სახელოვან რიგებში. ამ სპატიო ჯილდოს პასუხად, — თქვა მან, — არ დავიშურებ გამოცდილებას, ცოდნას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, სისტემატურად დავეხმარები კოლმეურნეებს მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევების სრულყოფილად გამოყენების საქმეში.

ქალაქის კეთილმოწყობის ორთვიური

ჟუთაისი. (საკ. კორ.). კომუნალურ მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანათა დაჩქარებით შესრულებისათვის აქ ტარდება ქალაქის კეთილმოწყობის ორთვიური, რომელიც დაიწყო 25 მარტს.

სამუშაოს მეთვალყურეობას უწევენ ორთვიურის მომწყობი კომისიის მიერ საარჩევნო უბნების მიხედვით გამოყოფილი დეპუტატები. საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს წესრიგზე მოპყავთ მათს ფარგლებში მყოფი ტერიტორია, აფართოებენ ქვაფენილებს, სწმენდენ არხებს, ასრულებენ გამწვანების სამუშაოებს და სხვ.

წინ მიდის სოფლის კულტურული ცხოვრება

ვზრუნავთ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის

საშუალო სკოლის ნორმალურად მუშაობა დიდად არის დამოკიდებული მატერიალურ ბაზაზეც. სკოლა, რომელსაც შესაფერისი შენობა, სასწავლო კაბინეტები და სხვა საჭირო მოწყობილობა აქვს, კარგ აკადემიურ წარმატებებსაც მიაღწევს.

ამ მხრივ სოფელ აწყურის საშუალო სკოლაში ცუდი მდგომარეობა რადია. გვაქვს ორსართულიანი შენობა, რომელს ოთახები საკმარისია იმისათვის, რომ ერთდროულად იმეცადინოს 483-მა მოსწავლემ.

ისტორიის, გეოგრაფიის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის მასწავლებლს სრული შესაძლებლობა აქვთ საგნის სწავლების დროს ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინო მასალები. ამან ხელი შეუწყო მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებას.

კარგად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, ამაღლდა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა. მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი საპროგრამო მასალის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის გონებრივი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსულ ენას. დიდი რუსი ხალხის მდიდარი კულტურის, ლიტერატურის შესწავლა შეუძლებელია რუსული ენის უცოდინარად.

მართალია, რუსული ენის სწავლებაში ერთგვარი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ჩვენი მოსწავლეების დიდი ნაწილ ჯერ კიდევ იმდენად არ არის დაუფლებული ამ ენას, რომ შეეძლოს დამოუკიდებლად ისარგებლოს რუსული ლიტერატურით.

ჩვენი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ამჟამად იმისათვის იბრძვიან, რომ საქმით უპასუხონ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითებას — „არა მარტო მედალოსნებმა, არამედ ყველა ახალგაზრდამ, ვინც საშუალო სკოლას ამთავრებს, დამაკმაყოფილებლად იცოდეს რუსული ენა“.

მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებით გაუმჯობესდა ბიოლოგიის სწავლება. აკადემიკოს ლისენკოს მოხსენებამ „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“ არსებითი ცვლილებები შეიტანა ამ საგნის სწავლების საქმეში. ჩვენი მასწავლებლები ბეჯითად მუშაობენ იმისათვის, რომ ახალგაზრდები შეიარაღონ მიჩურინული ბიოლოგიის არა მარტო ცოდნით, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენების უნარით, ჩაუნერგონ ახალგაზრდობას ცოდნა და იმის რწმენა, რომ შესაძლებელია ბუნების გარდაქმნა ადამიანის ხელით.

სკოლაში ჩამოყალიბებულია მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების აკადემიური წრეები. სასწავლო კაბინეტები საკმაოდ მდიდარია იმისათვის, რომ მოემსახუროს ამ წრეების ნაყოფიერ მუშაობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თვითონ მოსწავლეებიც ამზადებენ ხელსაწყოებს სასწავლო კაბინეტებისათვის. მაგალითად, IX კლასის მოსწავლეებმა მ. ჯანკვეტაძემ და ა. ჩერქეზიამ გააკეთეს ჰორიზონტისადმი დახრილად გასროლილი სხეულის მიერ გავლილი გზის გამომსახველი ხელსაწყო, VII კლასის მოსწავლემ შ. მელაძემ — ვატერპასი, ხოლო ბუნებისმეტყველების კაბინეტისათვის მოსწავლეებმა ი. კაპანაძემ, მ. იველაშვილმა და სხვებმა მოამზადეს ჰიგრომეტრი.

აწყურის სკოლის პედაგოგებმა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის დახმარებით თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში. ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ მაღალი მაჩვენებლებით დავამთავროთ სასწავლო წელი.

ჟ. ცხადაძე
აწყურის საშუალო სკოლის დირექტორი

ᲐᲬᲧᲣᲠᲨᲘ

მხოლოდ ოთხი წლის ისტორია აქვს აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, მაგრამ რა შესანიშნავი მიღწევებია მოპოვებული!

კოლმეურნეებს უხვად აქვთ პური და სიმინდი, ხილი და ბოსტნეული... საკუთარი ღვინოც აქვთ — ოთხი წლის ვენახის მოსავლის ქარვისფერი ღვინო. აწყურელმა კოლმეურნეებმა უკვე გააშენეს 8,5 ჰექტარი ვენახი.

კრამტისა და აგურის ქარხანაც ააშენეს აწყურის მშრომელებმა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საშენი მასალით უზრუნველჰყონ კოლმეურნეთა ბინების მშენებლობა. ამავე მიზანს ემსახურება აგრეთვე სახერხი ქარხანა, რომელიც დღეში ათ კუბურ მეტრ ხეს ხერხავს. სახელმწიფოს დახმარებით ოცდაშვიდმა კოლმეურნემ საკუთარი ბინები აიშენა. ოთხი კოლმეურნე ამ დღეებში დაამთავრებს ბინის მშენებლობას, დანარჩენებმა კაპიტალური რემონტი გაუკეთეს ბინებს.

მატლობს სოფელ აწყურის კოლმეურნეთა სამეურნეო წარმატებანი...

მაგრამ ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეთა კულტურული ცხოვრების განუხრელი ზრდა.

სოფლის ცენტრში აღმართულია საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, სადაც კოლმეურნეთა 483 ბავშვი სწავლობს, მათ ოცდაოთხი მასწავლებელი ზრდის კომუნისტური სულისკვეთებით. ისტორიის, გეოგრაფიის, ქიმია-ბუნებისმეტყველების, ფიზიკის მასწავლებელი საგნის სწავლების დროს ფართოდ იყენებენ თვალსაჩინო მასალებს. ამისათვის სკოლას კარგად მოწყობილი სასწავლო კაბინეტები აქვს.

სკოლის გვერდით კულტურის სახლია, აწყურელ კოლმეურნეთა დასვენების მნიშვნელოვანი კერა. აქ იმართება კინოსეანსები, საღამო-წარმოდგენები, ფიზკულტურული ვარჯიშობა, საუბრები, ლექციათ-კონსულტაციები.

ახალი საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა, წყალსადენი, თხეთმეტსაწოლიანი საავადმყოფო, აბანო, მოძრაკი ბიბლიოთეკა, წიგნის კიოსკი—აი რა სამეურნეო და კულტურული სამუშაოები შეასრულეს აწყურელმა კოლმეურნეებმა ოთხი წლის განმავლობაში.

იზრდება, ლამაზდება სოფელი აწყური, წინ მიდის კოლმეურნეთა კულტურული ცხოვრება.

ბედნიერი ეპოქის ცხოველმყოფელი მზით განათებულია განახლებული მესხეთის სოფელი.

ბ. თარიშვილი

კულტურული მუშაობის კერა

შარშან 1 ივლისს გაიხსნა აწყურის კულტურის სახლი. ეს კოლმეურნეთა ზეიმის დღე იყო. კოლმეურნეები სიხარულით ლაპარაკობდნენ ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე და თავიანთი აზრი გამოთქვეს კულტურის სახლის ამოცანებზე. კოლმეურნეთა მიერ წამოყენებული წინადადებანი დაეღო საფუძვლად ჩვენს შემდგომ მუშაობას. ჩამოვაყალიბეთ დრამატული, ფიზკულტურული, მოკადრაკეთა, მეფანდურეთა და მოცეკვავეთა წრეები, მომღერალთა გუნდი. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ კოლმეურნეები აგრონომიული წრის მეცადინეობის დროს. დიდი ინტერესი გამოიწვია საუბარმა მიჩურინის მოძღვრების შესახებ. კოლმეურნეების თხოვნით წრის ხელმძღვანელმა აგრონომმა მ. ბალახაძემ წრეში ჩაატარა ლექციები თემებზე: „ნათესბალახიანი თესლბრუნვის მნიშვნელობა“, „ორგანული და მინერალური სასუქების მიზანშეწონილი გამოყენება“, „წყლის განვითარება და წყლის რესურსების სწორად გამოყენება“ და სხვ.

აგრონომი ბალახაძე, როგორც კულტურის სახლის აქტივისტი ცალკეულ ბრიგადებშიც მართავს საუბრებს სოფლის მეურნეობის თოდი გარდამქმნელის მიჩურინის მოძღვრებაზე და მის გამოყენებაზე მესხეთის კოლმეურნეობებში.

კულტურის სახლს აქვს რადიომიმღები, რომლის 'საშალებით კოლმეურნეები ისმენენ ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ამბებს, საერთაშორისო მდგომარეობის ამბებს. რადიოგადაცემთა კოლექტიური მოსმენის შემდეგ, როგორც წესი, შემოღებული გვაქვს აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გასსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მუდმივმოქმედი ლექტორიუმის მუშაობას. ამ საქმეში ჩაბმული გვყავს მსწავლებელები, ექიმები, აგრონომები. ლექციების თემატიკა მრავალფეროვანია. დიდ ადგილს ეუთმობთ საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებს, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს. ლექციების მთავარ შინაარსს წარმოადგენს მატერიალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდა, ბრძოლა ადამიანის შეგნებაში კაპიტალისტურ ნაშთებთან, უმეცრებასთან, რელიგიურ ცრურწმენასთან.

არც გასართობ ღონისძიებებს ვიკიწყებთ.

დრამატული წრე სისტემატურად მართავს წარმოდგენებს, მომღერალთა გუნდი ქართული ხალხური სიმღერებით ართობს ნაყოფიერი შრომით დაღლილ კოლმეურნეებს.

სისტემატურად ვუჩვენებთ კინოსურათებსაც.

ჩვენი წარმატებანი კიდევ მეტი იქნებოდა, საკუთარი ბიბლიოთეკა რომ გვქონდეს. კოლმეურნეები ამას სამართლიანად გვისაყვედურებენ.

საჭიროა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში დაგვეხმაროს კოლმეურნეობის გამგეობა, მშრომელთა დეპუტატთა აწყურის სასოფლო საბჭოს აღმასკომი. მაშინ აწყურის კულტურის სახლი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის უფრო მძლავრი კერა იქნება.

გ. ღამბაშიძე
აწყურის კულტურის სახლის დირექტორი

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

⊙ გაჩაღებულია დიდი მუშაობა საგზაო მშენებლობის დარგში. აწყურის სასოფლო საბჭოს ყველა სოფელში მიყვანილია ფართო გზა. კოლმეურნეები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ გზების ნაპირებისა და სოფლის ცენტრის გამწვანების საქმეში.

⊙ სოფელ აწყურის ბიბლიოთეკამ ერთი წლის განმავლობაში 5.591-ჯერ მისცა წიგნები კოლმეურნეებს.

ბიბლიოთეკას ჰყავს აქტივი, რომლის შემადგენლობაში არიან კოლმეურნეობის ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები. ისინი სისტემატურად უკითხავენ კოლმეურნეებს ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს.

მესხეთის გაზაფხული

ჩვენი მთები და ვრცელი ველები
და მყინვარები ცამდე ახული,
როგორც შვიდფერი ცისარტყელები
რუკებზე არი გამოსახული.

აბა, რუკები იმ ძველთა დროთა
აჩვენონ კედლებს შუქით მომკრალთან,
როცა კაბელებს სხვა ჰკონდათ დროშა,
იმერთ სხვა ფერით ნაგვარისტალი!

აგერ რუკები დროთა შემდეგთა
და სამრეკლო ფეხქვეშ იყო მომკრალი,
მესხეთი ცალკე იყო გამდგარი,
მტრისგან ძლეული და შებოჭილი —

დაცემული და გადაგულნელი...
ველურთა ფეხქვეშ იყო გართხმული!
სადაც ქართული სიტყვა გასქელდის,
აქ შერისხული იყო ქართული...

და როცა დასცეს ბუღე და თორი,
თმოვეთის ციხე და ვარძიის კარი,
ხეზეში ქუხილით და გულის თრთოლვით
ქართულ სიმღერას მღეროდა მტკვარი!

ქართველი კაცის გული კეთილი
ლაჩარმა მტრისამ ბევრჯერ შელახა,
მაგრამ ვაზები ფეიდაჯაკეთილი
უხარებია ქართველს ხელახლა;

უშენებია სახლი და ციხეც
და გადაუხნავს ისევ მთამარი;
ქართველის კერას ვერ გაიცვებ —
მის გულში მოდგამ ღვივის ღადარი!

მისთვის არ ვაჰკრა თორი და ბუღე
ისევ ელვარებს ვარძიის კარი!
ცადშემართული თმოგვი ჩურჩულებს —
— აქ მე ვიყავი დარაჯად მდგარი.

ეს მე ვრაზადი კარებს ხანძრიანს
და შრიალებდა დროშა ბრძოლისა!
ჭეკრდშენარეული იყო ვარძია,
კარშელეწილი ციხე თორისა,

მაგრამ არ გატეხა ქართველის გული!
ვერ გაიცვეს კერა მესხისა...
და მერე მტერთან ვამარჯვებული
მესხეთს მოვიდა მესხი დურაჯი,
და ისევ აღდგა რუსთველის კერა
გადაკაფული და მათრეკალი...

* * *

მზე ალმოსავლეთს შეაფერადებს —
რკენის ოფერავენ თითქოს ჯიხვები,
და ოდა-სახლებს ფერად-ფერადებს
მზით აეფეთქთ მოაჯირები.

გადმოვიარე მე ქართლის ველი,
ქართლის ბაღი და ქართლის ზვარები,
და ახალ-ახალ სიმღერის მთქმელი
მესხეთისაკენ მივიმგზავრები...

აწყურში ვარ და წარსულს ვიგონებ,
ახლა ნაცისარს აჩკარი ჩრდილავთ,
და ჩემი ლექსის ფერმკრთალ სტრიქონებს
სინათ

ის ქმაღლის მესხეთის დილა.

მივალ, ლერწამის დერო წკრიალებს,
უმღერის მესხურ ლვინოს და ხორბალს
და ქედებს მწვანე თავსაფრიანებს
სამკალფლივით აშუენებს ოდა.

არა, მიწყარში გული ვერ გახმლებს,
ხნელში ისევაც დაიტანჯება...
სინათელე მოდამ უყვარდა ქართველს —
მისთვის აქვს ოდას ფართო ფანჯრები!

ბაღები, ზვარი, სუნთქვა ველისა —
გადაცვაფული ვარდნი, იასი,
სამშობლად უნდა თვალს ქართველისას —
ოდასაც მისთვის აქვს აივანი!

დაგეიზამთრდება, მაშინ მთა-ველი
თოვლის ქვეშ თვლემს და არის მდუმარი;
ამხორკლებს ოჯახს ქართველი —
ოდაში მისთვის არის ბუხარი!

* * *

გავსდეკრი სუფთა, კამკამა სიერცეს,
ფეიდერი ოდებს აივნიანებს,
მესხეთის მიწას იერი მისცეს,
დარდი კვამლივით გაანიავეს —
და კვლავ სიხარულს დაუდგეს ბინა,
მიწაში მაგრად გადგეს ფესვები!
ვინც ეს ბოსტანი აბობინა,
ვინც დაუბრუნა სესხეთს მესხები —
მას უმადლიან ჩემი ლექსები.

* * *

სალამო და ბუხართან ვსხედვართ
გვესმის ვარხანის წყაროს შრიალი,
ბალში ალუჩა ქთქთოებს თეთრად
სახლში — ლამაზი თავსაფრიანი.

ღუღუნებს ჩვენი თეთრი ბუხარი,
ეს ნაპერწკლები ალხენენ პატარებს,
და ბერიკაცი ტკბილმოუბარი
წარსულთან ამბავს შემოგვაპარებს:

ცხოვრობდა მშვიდად სოფელი მესხთა,
ხარობდა ბალში ტურფა ხეხილი
და ვაშლის ხეებს იმდენი ეცხა —
ტოტები ჰქონდა ჩამოწნეკილი;

ილბენდა მშვიდი სოფელი მესხთა
განთქმული შრომით და სიმღერებით, —
დალოც

ილ ვაზებს იმდენი ეხსა,
რომ ვერ იტევდნენ ღვინოს ქვევრები...

და გლეხი მაინც იყო ღარიბი,
ბერი იყო და ბერი ძროიდა,
იყო სახნავი, იყო სათიბი —
არ იყო სავსე მისი ბეღელი,
ლხინში არ იყო სხვისთან ზიარდა...
მაგრამ მშობლიურ ცის ქვეშ მცხოვრები
შრომობდა მაინც ხალისიანად.

...იელვა, ცაზე გაჩნდა ხანძარი
მტერი დაესხა მესხეთს საზარი.
ატყდა ზარების რეკვა და აღსდგა
მესხი ბაბუკი, მესხი ბებერი,
მტერს შეერკინენ მესხთა დედებიც!
და შეეტოტნენ მზედრეს მზედრები
ომბრალი დასცეს ყიელნი —
გადაკაკვდნელ მთა და ქედები...

მაინც განკითხვის ჩამოდგა ჩანი,
იმძლეთნა მტერმა გაბოროტებით, —
უნდა დაეთმოთ უდე, ვარხანი,
ბალ-ვენახი და კოხტა ოდები...

სტოვებდნენ მესხეთს მესხნი გოდებით
გადმოიარეს მთა და კორდები,
იმერმა ლეკმა გაუყო ძმურად!
მთ იმერეთში დაბეჯდათ ოდები,
ბალები დაბეჯდათ, დაბეჯდათ საყანე
და იმერეთში დაიხავანეს...

იძმო იმერმა მესხი კეთილი.
და მაინც მესხი გულდაწუვეტილი:
შრომობდა ბალში, თუ მოლზე იწვა,
ენატრებოდა მესხეთის მიწა!

* * *

...ღამეა მშვიდი, ტკრცალებს ცეცხლი,
კვლავ გვესმის წყაროს ჩუმი შრიალი,
გარეთ ალუჩა ქთქთაოებს თეთრი,
სახლში ლამაზი თავსაფრიანი —

განახლებული მესხეთის დედა!
შვილი რომ მშვიდათ უწევს ავანში,
და ახალ მესხეთს უზრდის ამდენთ
ვაჟკაცს მშობლიურ ბავნანაში...

იმღერის დედის გული და გვალხენს,
ბავშვის ტიკტიკი გვალხენს ქართული
განახლებული მესხეთის სახე —
ოდა—სახლებნი და ბალნარბი,
ოსტატის მკლავი შრომით გართული,
გუთანს შემბული ნიშა ხარები...

კვლავ დაუბრუნდა ეზო-კარს მესხი,
ილბენს ბერ-ფუძე, ჩვენი დედები!
და როცა დილას შეხვდება მზეყმესი,
ზეკარს სხივი რომ წაეკიდება —

პირველ სიმღერას ეტყვის მთა-ველი,
ვინც თავის ხელით შემოაკუნა
ეს გაზაფხული ნარიფრადი,
ფდიდოს ჩვენი დიდი ბელადი!

ალიო ადამია

ი. ძიბისაშვილი — საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული პოლიტიკის გატარების შედეგად მესხეთში ძირფესვიანად აღმოფხვრილია თურქ დამპყრობთა ბარბაროსული პარასიის შედეგები. თავისუფალმა, განახლებულმა მესხეთის მშრომელებმა შექმნეს საამური, ბედნიერი ცხოვრება და ვაჭიხრეულად მიდიან წინ, ახალ-ახალ წარმატებათა გზით.

ახალციხის რაიონის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს ბრძოლა მშრომელთა მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის, კომუნისტური სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. ამ ამოცანის შესასრულებლად რაიონში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა. ქერძოდ, სეზონიზული წარმატებებია მოპოვებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის საქმეში.

ჩვენს სოფლებში ამჟამად მუშაობს 25 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის ერთი კულტურის სახლი, ორი ბიბლიოთეკა, ცხრა სასოფლო კლუბი და ცამეტი ქოხ-სამკითხველო. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობაში ფართო შრომთის მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეები. ბევრმა კოლმეურნეობამ საკუთარი საშუალებებითა და სახსრებით უკვე ააგო შესანიშნავი კლუბი.

სოფელ ვალეს პარტიულმა აქტივმა ითავა სასოფლო კლუბის შენობის აგება, რომლის დიდი დარბაზი ოთხსამოდ მაყურებელს იტევს. პარტიულ აქტივს მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა და მოკლე ხანში საკუთარი სახსრებით ააგეს სასოფლო კლუბის მშვენიერი შენობა. ახლა სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც 328 კომლს აერთიანებს, კარგად მოწყობილი სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა აქვს.

ვალელ კოლმეურნეთა მაგალითს მიბაძეს სოფელ ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც უფრო დიდ მშენებლობას, კულტურის სახლის აგებას შეუდგნენ. მშენებლობა მალე დამთავრდება. კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ ახალ კულტურის სახლში შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს.

სოფლად კულტურული მუშაობის აღმავლობას დიდად უწყობს ხელს ელექტროფიკაცია. ამის ნათელ სურათს იძლევა სოფელი ურაველი. რომ არ შეგეხოთ ელექტროენერგიის გამოყენების მნიშვნელობას სოფელ ურაველის მეურნეობის ცალკეული დარგების მექანიზაციისათვის, როგორიცაა სარწყავი არხისათვის წყალსაჭაჩის მოწყობა, სახერხი ქარხანა და სხვა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გასაღიდებლად, უელექტროენერგიოდ საშუალება არ გვექნებოდა სოფელში დაგვედგა რადიოსადგური, მოგვეწყო კინო. მარტო ის ფაქტი, რომ სოფელ ურაველის ყველა კოლმეურნის ოჯახში, კოლმეურნეობის საწყობებში, მარანში და სხვა შენობებში ილიჩის ელნათურები ანთებენ, წარმოადგენს დიდ კულტურულ მოვლენას აქაურ მშრომელთა ცხოვრებაში.

ასევე თქმის სოფლების მინაძის, ტატანისის და ჭვინთის შესახებ. მათ უკვე აქვთ ელექტროსადგურები, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლების საქმეში.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ახლო მომავალში დაიწყებენ სხვილისის, წინუბნის, აგარის, გუჩაკლის, კლდისა და აწყურის კოლმეურნეობები.

წინათ მესხეთის სოფლების მოსახლეობა მიწურებში ცხოვრობდა. ახლა სტალინური ეპოქის მიერ განახლებულ მესხეთის სოფლებში სულ სხვა სურათია. ძველი სოფლის ნანგრევებზე შენდება ახალი, ლამაზი ერთ და ორ სართულიანი სახლები, რომელთა ნათელ ოთახებს ძვირფასი საწოლები და ოჯახის სხვა მოწყობილობა ამკობს.

„სამი წლის განმავლობაში, — თქვა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, — სახელმწიფოს დახმარებით მესხეთის რაიონებში ახლადდასახლებულმა კოლმეურნეებმა ააგეს 1.180 ახალი სახლი. ახლადდასახლებულთა დასამკვიდრებლად საჭიროა მათ დახმარება ალმოვუჩინონთ, რომ მომავალი ორი-სამი წლის განმავლობაში ყველამ შეძლოს აიგოს კარგი, მოწყობილი სახლი. მესხეთის რაიონის პარტორგანიზაციებისათვის ეს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა“.

ამხანაგ ჩარკვიანის ამ მითითების განხორციელება მესხეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს დიდ მუშაობას.

პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა უნდა გააძლიერონ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობა. სასოფლო კლუბებში ლექციურ პროპაგანდას, საწრეო მუშაობის გაჩაღებას, მხატვრული თვითმქმედების საღამოების მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად ჯერ კიდევ არსებული ცრურწმენებისა და წარსულის სხვა ნაშთების აღმოფხვრისათვის, მოსახლეობის კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. გასულ წელს პარტიის ახალციხის რაიკომის პლენუმმა განიხილა საკითხი სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დაყენების შესახებ. გამორკვა, რომ ბევრი ჩვენი კლუბის მუშაკი და სასოფლო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას უმთავრესად გართობის საშუალად თვლიდნენ. მათ ავიწყდებოდათ, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად მთელი საწარმოო და სამშენებლო მუშაობის წარმატების მნიშვნელოვან პირობას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სერიოზულ იარაღს წარმოადგენს.

კლუბების, სასოფლო ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოების მთავარი ნაკლი ის იყო, რომ საწრეო მუშობას, წრეებში კოლეფერნეთა მიზიდვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, წრეები არ იყო გამოყენებული აგიტრომიული ცოდნის, ახტრილგიური პროპაგანდისათვის, მშრომელთა საერთო პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა სპორტულ ღონისძიებათა მოწყობას. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად რაიკომის პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულების შემოწმებას სისტემატურად ვაწარმოებთ.

რაიკომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამას წინათ სხვა სოფლების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად შემოწმდა აწყურის კულტურის სახლის (დირექტორი გ. ღამბაშიძე) მუშაობა. აქ აქტიურად მუშაობენ აგრომტეხნიკური, სანიტარიისა და ჰიგიენის, დრამატული, სპორტული, მომღერალთა და მოცეკვავეთა წრეები. განსაკუთრებით კარგად მუშაობს აგრომტეხნიკური წრე, რომელს ხელმძღვანელია აგრონომი ბ. ბალახაძე. წრეში, რომელშიაც კოლმეურნეები დიდ აქტივობას იჩენენ, ავარაში ორჯერ ეწყობა ლექციები და საუბრები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საინტერესო საკითხებზე. განსაკუთრებით თესლბრუნვის მნიშვნელოვნებაზე, მესხეთის სოფლებში ვაზის გაშენებასა და მოვლაზე, მებაღეობაში მიჩურინული მეთოდების გამოყენებაზე და სხვ. კულტურის სახლის დრამატული წრეც კარგი მუშაობით სახელი გითქვა და იგი ახლა გარდა აწყურისა წარმოდგენებს მართავს ჩითახეჯესის მშენებლებთან და მეზობელ სოფლებშიც.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კინო-სურათების ჩვენებას. ამ მხრივ ახალციხის რაიონში ცუდი მდგომარეობა როდია. რამდენიმე კოლმეურნეობას საკუთარი კინოდანადგარიც აქვს, გარდა ამისა, მოძრაკი კინო თითქმის ყველა კოლმეურნეობას ემსახურება. მაგრამ „ჯალაკინოპროკატის“ საქართველოს კინტორის საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს გაზშირდა საზღვარგარეთული, იდეურად გაუმართლებელი კინოსურათების დემონსტრირება (მაგალითად, „მფრინავი ღამურა“ და სხვ.), ხოლო საბჭოთა მაღალფასოვანი კინოსურათები რაიონებში რატომღაც იშვიათად მოდის. საკირო ამ ფაქტს სერიოზულად ჩაუფიქრდნენ „ჯალაკინოპროკატის“ საქართველოს კინტორის მუშაკები.

სოფლად კულტურული მუშაობის აღმავლობამ გაზარდა წიგნის მოთხოვნილება მასებში. რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამჟამად არსებული 30 ათასზე ეტატ მეტი წიგნი სრულიად არ არის საკმარისი კოლმეურნეთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებად. მიღებულია ზომები წიგნის ფონდის გასაძლიერებლად, მაგრამ საჭირო იქნებოდა ამ მხრივ ჩვენი გამომცემლობებისა და საკავრო ორგანიზაციების უფრო მეტი დახმარება.

საუბრები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საინტერესო საკითხებზე, განსაკუთრებით თესლბრუნვის მნიშვნელობაზე, მესხეთის სოფლებში ვაზის გაშენებასა და მოვლაზე, მებაღეობაში მიჩურინული მეთოდების გამოყენებაზე და სხვ. კულტურის სახლის დრამატული წრეს კარგი მუშაობით სახელი გითქვა და იგი ახლა გარდა აწყურისა წარმოდგენებს მართავს ჩითახეჯესის მშენებლებთან და მეზობელ სოფლებშიც.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კინო-სურათების ჩვენებას. ამ მხრივ ახალციხის რაიონში ცუდი მდგომარეობა როდია. რამდენიმე კოლმეურნეობას საკუთარი კინოდანადგარიც აქვს, გარდა ამისა, მოძრაკი კინო თითქმის ყველა კოლმეურნეობას ემსახურება. მაგრამ „ჯალაკინოპროკატის“ საქართველოს კინტორის საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს გაზშირდა საზღვარგარეთული, იდეურად გაუმართლებელი კინოსურათების დემონსტრირება (მაგალითად, „მფრინავი ღამურა“ და სხვ.), ხოლო საბჭოთა მაღალფასოვანი კინოსურათები რაიონებში რატომღაც იშვიათად მოდის. საკირო ამ ფაქტს სერიოზულად ჩაუფიქრდნენ „ჯალაკინოპროკატის“ საქართველოს კინტორის მუშაკები.

სოფლად კულტურული მუშაობის აღმავლობამ გაზარდა წიგნის მოთხოვნილება მასებში. რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამჟამად არსებული 30 ათასზე ეტატ მეტი წიგნი სრულიად არ არის საკმარისი კოლმეურნეთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებად. მიღებულია ზომები წიგნის ფონდის გასაძლიერებლად, მაგრამ საჭირო იქნებოდა ამ მხრივ ჩვენი გამომცემლობებისა და საკავრო ორგანიზაციების უფრო მეტი დახმარება.

სოფლისათვის მასობრივი ლიტერატურის გამოცემა დიდად შეუწყობდა ხელს ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოების მიერ კოლმეურნეთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი სასოფლო ბიბლიოთეკასა და ქოხ-სამკითხველოში წიგნები იკარგებოდა აღრიცხვისა და დაცვის ცუდი ორგანიზაციის შედეგად. ეს საკითხი რაიონული პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საკითხი გახდა. საჭირო შეიქნა შეუფერებელი მუშაკების შეცვლა ახალი, მომზადებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე კადრებით.

ჩვენ გვყავს ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოების ბევრი კარგი მუშაკი. სოფელ აწყურის ქოხ-სამკითხველოს გამგეს თინა გაზენიძეს შედგენილი აქვს წიგნების სარეკომენდაციო სია, რომელსაც დართული აქვს ცალკეული წიგნების მოკლე ანოტაციები. გარდა ამისა, იგი კოლმეურნეებს სისტემატურად აძლევს ახსნა-განმარტებას ახალი წიგნების შესახებ. ეს იწვევს მკითხველთა დაინტერესებას და წიგნებით სარგებლობის ზრდას.

ასევე კარგად მუშაობენ ანდრიაწმინდის, საძელის, პამაჩის და სხვა სოფლების ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოების მუშაკები.

ღღითი დღე უფრო მძლავრად ჩაღდება კულტურული ცხოვრება მესხეთის სოფლებში. იგი რაიონის სამეურნეო-პოლიტიკურ წარმატებათა ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ახალციხის პარტიული და საბჭოთა აქტივი, ინტელიგენცია, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უფრო აამაღლონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად, წარმატებით განახორციელონ მშრომელთა კულტურული აღმავლობისათვის ბრძოლის პროგრამა, რომელიც დაგვისახა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური საბჭოს მესამე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკუთრივ). გუშინ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა საერთო დისკუსია ავორკანი იტალიის ყოფილი კოლონიების ბედის საკითხზე. ამ საკითხში საფრანგეთის მთავრობის პოზიციის შესახებ განცხადება გაიკეთა საფრანგეთის დელეგატმა შოველმა. მან განაცხადა, რომ საჭიროა სასწრაფოდ მიღწეულ იქნას ამ საკითხის სრული გადაწყვეტა. ოთხი სახელმწიფოს კომისიამ, რომელმაც ადგილზე შეისწავლა მდგომარეობა ამ ყოფილ კოლონიებში, აღნიშნავს მათი მოსახლეობის სურვილზე—რაც შეიძლება მალე მოეთის ბოლო ამ ტერიტორიაზე არსებულ დროებითი რეჟიმს.

გაკეთა რა რამდენიმე ზოგადი შენიშვნა იტალიის ყოფილი კოლონიების გეოგრაფიულ და ეთნიკურ თავისებურებათა შესახებ, შოველმა განაცხადა, რომ ლიბიის მოსახლეობას თვითმმართველობის უნარი არა აქვს. ამიტომ, ამტკიცებდა შოველი, მთავრობებს, რომლებიც მოწოდებული იყვნენ მოემზადებინათ ამ კოლონიების საკითხის გადაწყვეტა, ისეთ დაგეგმულ ეტაპებად მიიჩნევთ საერთაშორისო მეურვეობის რეჟიმი. შოველმა კომიტეტს მოუწოდა გაითვალისწინოს ამ ტერიტორიების ანექსიის შესაძლებლობა, რომელებზეც განაცხადს აკეთებენ მუშაობელი ქვეყნები. ამასთან მან აღნიშნა ეთიოპიის მოთხოვნა ერიტრეის ნაწილის მისთვის გადაეცემის შესახებ.

შოველმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას შუდან მიაჩნია და მიაჩნია, რომ იტალიას სავსებით შეიძლება გადაეცეს თავისი ყოფილი კოლონიების მეურვეობა, მაგრამ ეთიოპიას „უნდა მიეცეს დაკმაყოფილება, რაც უფლებაც მას აქვს, როგორც რეპარაციის წარყოლისთვის და გარანტიის მოძიებისათვის".

საფრანგეთის დელეგატმა განაცხადა, რომ „თუმცა იტალიის მთავრობა ორ ომს შორის გასული პერიოდში ისეთ კოლონიურ პოლიტიკას ეწეოდა, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება ბევრი რამ თქვას, მაგრამ შეიცდნა იქნებოდა არ ავნებოთ იტალიის ახალ რესპუბლიკას კოლონიური მისია, რომელიც ეკისკვლია, შესრულებულ იქნება ნამდვილი დემოკრატიული და პროგრესული სულისკვეთებით".

შოველმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონკრეტული იქნება „გარანტია ასეთი შაშის წინააღმდეგ, თუ კი იგი არსებობს". იგი აგრეთვე ამტკიცებდა, ის გარემოება, რომ იტალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი არ არის, არ შეიძლება მეურვეობის სისტემაში მისი მონაწილეობის დაბრკოლება გახდეს.

შემდეგ იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხში ინგლისის დელეგაციის პოზიციის შესახებ განეცხადება გაკეთა მაკნიერმა. ინგლისი რა, რომ ინგლისი უკვე თითქმის 8 წლის განმავლობაში ახორციელებს ადმინისტრაციას იტალიის ყოფილი კოლონიების ტერიტორიაზე, გარდა ფესანისა (რომელსაც საფრანგეთი მართავს.—რედ.), მაკნიერი ჩათვლა, რომ ეს ადმინისტრაციი ხორციელდებოდა „ინგლისისათვის ძნელ პირობებში". ინგლისის მთავრობა კოლონიების მართვაში ხელმძღვანელობდა ჰაადის კონვენციის მიერ დაწესებული შეზღუდვებით. სწორედ ამ შეზღუდვებმა, მაკნერის სიტყვით, შეუშალეს ხელი ზოგიერთი „მორს გამიზნული ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გეგმების განხორციელებას" ამ ტერიტორიებზე.

მაკნერმა აღიარა, რომ, როგორც დადასტურა ოთხი სახელმწიფოს კომისიამ, რომელიც იტალიის ყოფილ კოლონიებს ტერიტორიები მოსახლეობა დამოუკიდებლობის სურვილს გამოთქვამდა. მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ თითქმის ორი ერთი ეს ტერიტორია დამოუკიდებლობისათვის მზად არ არის.

მაკნერმა განაცხადა, რომ ერთიანი ლიბიის იდეა, უეჭველი, „სასურველ მიზანს" წარმოადგენს. მაგრამ, დაიმიწმა რა ის გარემოება, რომ ლიბიის სამი დამოუკიდებელი ნაწილისა—კირენაიკის, ტრიპოლიტანისა და ფესანის მოსახლეობის პოლიტიკური რწმენა და სურვილები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მან განაცხადა, სანამ ეს განსხვავება შეთანხმებულ არ იქნება, ეს ტერიტორიები განხილულ უნდა იქნან, როგორც ცალკე ერთეულებნი.

მაკნერმა განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია უსიტყვოდ დაუჭერს მხარს საფრანგეთის პრეტენზიას ფესანისადმი.

გიიხსენა რა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადება—კირენაიკა საშეერთიერო გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მმართველ ხელისუფლებად ინგლისი დაინიშნოს, მაკნერმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას ისეთი წინადადება „საბედნიეროდ" მიაჩნია.

დაიმიწმა რა ინგლისის მთავრობის დაპირება კირენაიკის მეზობელებს — სენუსიტებისადმი, რომ ასინი ირსაოდს ლარ იქნებიან იტალიის მმართველობაში, მაკნერმა განაცხადა, რომ ამიტომ ინგლისის დელეგაცია წინააღმდეგობას. გაუწევს ყოველგვარ წინადადებას ამ ტერიტორიაზე, იტალიელების დაბრუნების შესახებ.

აღიარა რა, რომ კირენაიკის მოსახლეობას თითქმის ერთსულოვნად სურს მიღოს დამოუკიდებლობა, მაკნერი ამაყე დროს ამტკიცებდა, რომ ამ მოსახლეობას თითქოს თვითონ მიაჩნია, რომ კირენაიკის არ შეეძლოს არსებობა, როგორც ცალკე სახელმწიფოს, „თუ როგორც სხვა სახელმწიფო არ დაეხმარა". მაკნერი ცდილობდა დაემტკიცებინა ეს აზრი და განაცხადა, რომ კირენაიკაში საკმაოდ არ არის ადგილობრივი აღმინისტრაციული პერსონალი, აგრეთვე, რომ მას დასჭირდება სხვისი როგორც საფინანსო, ისე ტექნიკური დახმარება. იგი შემდეგ ამტკიცებდა, რომ ასეთი დახმარების გაწევა ყველაზე უკეთ და ყველაზე ეფექტიანად ინგლისს შეუძლია.

ინგლისის მთავრობას, განაგრძო მაკნერმა, ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია რაიმე პრაქტიკული წინადადება ლიბიის დანარჩენი ნაწილის—ტრიპოლიტანიის შესახებ. მან განაცხადა, რომ ინგლისს სურს განთავისუფლდეს ამ ტერიტორიის მართვისაგან.

მაგრამ მაკნერი დაჟინებით ცდილობდა ქარაგმულად ეგრძნობინებინა, რომ ინგლისს შეუძლია „ღირსებით" განაგრძოს ტრიპოლიტანის მართვა, და ამ მართვის პირობებიც კი ჩამოაყალიბა.

მსგავსად ამერიკის წარმომადგენლისა, მაკნერმა განაცხადა, რომ ერიტრეაი ტერიტორია უნდა გაიყოს და მისი ნაწილი უნდა გადაეცეს ეთიოპიას, მათ შორის ასაბისა და მასაეას ნავსადგურები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებთან განაცხადებიდან გამომდინარეობს: მათ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ გენერალური ასამბლეა არ შეასრულებს გადაწყვეტილებას ტრიპოლიტანისა და დასაალეთი ერიტერეის სამეურვეოდ გადაცემის შესახებ; მხედველობაში აქვთ ამ ტერიტორიის დატოვება ინგლისელთა ხელში და იქ საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნება.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების ამ გეგმების დამთხვევა ეტყვ არ სტოვებს, რომ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საიდუმლო შეთანხმება იტალიის კოლონიების საკითხზე.

მაკნერმა განაცხადა, ინგლისის მთავრობა იმის მიმხრეა, რომ იტალიის სომალი სამეურვეოდ გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და იტალია ოყოს მისი მმართველი. იგი ამტკიცებდა, რომ, თუმცა იტალიის სომალის მოსახლეობის უმრავლესობას, როგორც ეს ცხადი ხდება ოთხი სახელმწიფოს კომისიის მოხსენებიდან, სურს რამდენიმე სახელმწიფოს მეურვეობა, ამ სურვილი „მეტად ფრთხილად" უნდა მოვეპყროთ, ვინაიდან, მისი სიტყვით, ამ ტერიტორიის მოსახლეობის ხხოლოდ მეორე ნაწილია პოლიტიკურად შეგნებული და რომ თითქოს ამ მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმის იმ გადაწყვეტილებათა მთელი შედეგები, რომლებე მათ ამაკობნენს.

მაკნერმა განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაციის „ღიდაღი პრაქტიკული მოსაზრებანი" აქვს იმის წინააღმდეგ, რომ მეურვეობა გაიყოს რამდენიმე სახელმწიფოს, რამდენადაც, მისი სიტყვით, ამ შემთხვევაში ძნელია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

დასასრულ მან ერთხელ კიდევ გაიმეორა, ჩემი დელეგაცია მხარს დაუჭერს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ იტალიის სომალის მეურვეობა იტალიას გადაეცეს.

ეთიოპიის წარმომადგენელმა აღნიშნა ეთიოპიის, ერიტრეისა და სომალის მოსახლეობის ერთიანობა ისტორიული და ეთნიკური თვალსაზრისით და გიიხსენა, რომ როგორც ერიტრეა, ისე სომალი იტალიისათვის ეთიოპიაზე თავდასხმის პლაცდარმი გახდა. იტალიის ფაშიზმის მიერ ეთიოპიის დაპყრობა გულდასმით იყო მომზადებული სწორედ ამ ტერიტორიებზე. პასუხისმგებლობა აგრესიულ-დამპყრობლური პოლიტიკისათვის, რასობრივი სიძულვილის, კოლონიური ნაგვრის პოლიტიკისათვის ეკისრება არა მარტო იტალიის ყოფილ მთავრობას, არამედ აგრეთვე წინათ იქ არსებულ ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ-დემოკრატულ რეჟიმებს.

ეთიოპიის დელეგატმა წინადადება შეიტანა—ერიტრეა და სომალი შეუერთდეს ეთიოპიას და ხაზგასმით აღნიშნა ამ ტერიტორიების მშიდრო კავშირი ეთიოპიასთან. ამასთან მან გიიხსენა, რომ 1940 წელს, მოეწოდებდნენ რა იტალიის სომალის მოსახლეობას იტალიელების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ, ინგლისის ხელისუფალნი მას დაპპირდნენ, ომის შემდეგ ეთიოპიისათან შეგაერთებთო.

ფილიპინების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხი მოეესმინონ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს, სანამ მის ბედს გადაწყვეტდნენ. მან გიიხსენა, რომ სომალის მოსახლეობის „ერთადერთი წარმომადგენელი და აღმოჩენტანინ ორგანიზაცია" სომალელი ახალგაზრდობის ლიგა, რომელის წარმომადგენლებსაც კომიტეტმა უნდა მოუსმინოს, თუმცა ცნობილია, რომ ეს ორგანიზაცია ინსპირა ინგლისელთა ფულით. ამასთან მან აღნიშნა, რომ, რაკი მეერეკი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელია რიცხვი, რომელთაც კომიტეტის წინაშე გამოსვლა სურთ, საჭირო არ არის მათს შესახებ ვედ ქვეკომიტეტის შექმნა, რა წინადადებაც გუშინ იხილისის დელეგატმა შემოიტანა.

ფილიპინების წარმომადგენელს მხარი დაუჭერეს ავსტრალიისა და ინდოეთის დელეგატებმა.

ბრაზილიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა იმას, რომ იტალიას გადაეცეს ზოგიერთი მისი ყოფილი კოლონიის მეურვეობა, აგრეთვე მხარი დაუჭირა ინგლისის პრეტენზიას ამ კოლონიების მიმართ.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ტარასენკომ გიიხსენა, რომ წარსულ სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ წინადადება შეიტანა გადადიოს გადაწყვეტილება ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ.

ამით დამთავრდა პოლიტიკური კომიტეტის სხდომა.

საბჭოთა დელეგაცია მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე

საბჭოთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომელებიც შეუერთდნენ მმართვას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ, გადაწყვეტეს გაგზავნონ კოგრესზე თავიანთი დელეგატები.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ვოლგინი, აკადემიკოსი ა. ნესმეიანოვი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. პალადინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ბ. ბოროვოი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი. ნ. ანინოკოვი, აკადემიკოსი ბ. ბორეკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები ბ. ფედოსეევი და ბ. კოჩუნი;

მწერლები—ა. ფადეევი, ი. ერენბურგი, კ. სიმონოვი, ვ. ვასილევსკაია, ა. კორნეიჩუკი, ბაქსმ ტანკი, ნ. ზარიანი, მ. ტურსუნ-ზადე, ბ. იბრაგიმოვი.

სპბჭოური აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ა. გერასიმოვი; ჟინერეკოლორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ალექსანდროვი, კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი, სსრ კავშირის ხალხური artisti სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი იგორ მოისეევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, კიევის ოპერა-სახელოსნის დრამატიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ანტონოვი, რსფსრ და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. დავიდოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ჩერკასოვი, ლატვიის სსრ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ვ. ეკრამპე;

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. პოპოვა, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადიერი, სოციალისტური შრომის მგრი ბ. ანგელინა, ომში დაღუპული ორი საბჭოთა კავშირის გმირის დედა ლ. კოსმოდემიანსკაია, ცეცეროვნის მსოფლიო ჩემპიონი მ. ისაკოვა, გაზეთ „ეკონომიკურ რაბოტნიკის" რედაქტორი მ. კაზანცევა, რსფსრ დამსახურებული მასწავლებელი ა. სოლოგიოვი, სტალინის სახელობის ზღვაოსნების ქარხნის მეფოლადე ვ. ამოსოვი, ქვანახშირის მრეწველების მუშაობა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. შელახინი, სსრ კავშირის ლოგაოა კომიტეტის წევრები ორგანის საბჭოთა კავშირის გმირი ა. ფედოროვი და ლ. ბარანოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. მარესიევი, კომპანიური კ. პორონინი, სოციალისტური შრომის გმირი ფ. ბოიკოო, სადგურ კურსკის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. შებანინი, უმაღლეს სასწავლებლთა მასწავლებლები ვ. პოროშინი და ს. ანდრეეევი, საფეიერო მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის ეკანოფის სოლეკ კომიტეტის მდივანი ტ. ბოიცოვა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები ზ. გაგარინა, ჩ. ასლანოვა, ნ. კაბაკოვა; საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადილეობის ალმსრულებელი ვ. კოჩეშოვი; სსრ კავშირის სამომხმარებელო კოოპერაციის ხელმძღვანელი მუშაკები—ა. კლიმოვი და გ. ნელისი. (საკუდსი).

ნაჯო ვაჩნაძის შემოქმედების საღამო

11 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნაჯო ვაჩნაძის შემოქმედების 25 წლისთავისადმი მძღვნელი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის კინოსტუდიის დირექტორმა ამხ. მ. კვესელავამ.

მოხსენება ნაჯო ვაჩნაძის შემოქმედების შესახებ გაკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რევისორმა ს. დოლიძემ.

მომხსენებელმა დაახასიათა ნაჯო ვაჩნაძის შემოქმედებითი გზა, მსახიობის ღვაწლი ქართული კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში და დიდი შეფასება მისცა მის მიერ განსაზღვრული როლებისა, რომელიც დაუეიწყარ სახეებად დარჩებიან საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში.

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იყო მართალშეიღლა და დოლენკოს კინომონტაჟი „ნაჯო ვაჩნაძე ეკრანზე".

მაყურებლებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მესამე განყოფილებამ, რომელიც ერთ მთელად სიტყვეტზე იყო აგებული, და რომელშიც მოწაფლეობდნენ საქართველოს რადიოკომიტეტის საგუნდო კაპელა, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, საქართველოს ოპერა და კინემატოგრაფიის ფილარმონიის ორკესტრი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

14 და 15 აპრილს მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნება აკადემიკოს-მდივნის ი. ვეფაოს მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1948 წლის მუშაობის შესახებ. საღამოს სხდომაზე მოხსენებებით ბულგარეთში სამეცნიერო მივლინების შედეგების შესახებ გამოვიენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. შანიდე და ნ. ბერძენიშვილი. მოსმენილ იქნება აგრეთვე პროფესორ ვ. ცაცანაშვილის მოხსენება თემაზე „ადგილური გაზომვები ქმიათაში".

15 აპრილის დილის სხდომაზე მოხსენებებს წაკითხავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები: ი. ქუთათელაძე —„მიღწევები საქართველოს სამეურნეო წყლების ნედლეულის გამოყენებისა და გამოყენების დარგში" და ტ. კვარაცხელია თემაზე: „ნიადაგის ეროზია და სამთო მიწათმოქმედების სისტემა"

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

ქართველი პოეტის იოსებ ნონაშვილის საღამო

11 აპრილს ლიტერატურთა ცენტრალურ სახლში შედგა ქართველი პოეტის, საკავშირო აკად XI ყრილობის დელეგატის იოსებ ნონაშვილის საღამო.

ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის ლექსები ერთგულურ თრამენოა ენაზე. თავის ნაწარმოებებში იოსებ ნონაშვილი უმღერის საბჭოთა სამშობლოს, საბჭოთა ადამიანებს.

საღამოზე იოსებ ნონაშვილის ლექსებს თარგმანი წაკითხეს მოსკოველმა პოეტებმა.

დასასრულ გამოვიდა იოსებ ნონაშვილი, რომელიც ოედიტორიამ გულთბილად მიიღო. პოეტმა წაიკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი ქართულ ენაზე და ფამშეტი ბალადა „ბერი".

ამ განყოფილებამ დასასრულს ნაჯო ვაჩნაძეს მიესალმნენ საქართველოს კინემატოგრაფიისა და თბილისის სახელმწიფო თეატრების მუშაკები, ბუნებრივადნი რაიონნი მშრომელთა დელეგაციის და თბილისის პიონერებისა და მოსწავლეების წარმომადგენლები. შემდეგ ნაჯო ვაჩნაძეს შეგზდნენ მსახიობები, რომლებიც მონაწილეობდნენ კინოსტუდიაში: „ეკანასკნელი მასკარადი", „ქალი ხიდზანიდან". „აკაკის აკვანი", „ნარინჯის ველი", „არსენა", „ილოსი", „დარიკო", „სამი სიცოცხლე", „დაკარგული სამოთხე", „სამშობლო", „ბეღელი", „ქეთო და კოტე" და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ საღამოს სამხატვრო ხელმძღვანელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ს. ჩაკვიანაძეს, ტაქტისა და მუსიკის ავტორებს, აგრეთვე ყველა მსახიობს, რომელებაც მონაწილეობა მიიღეს ნაჯო ვაჩნაძის შემოქმედებითს საღამოში, შრომა და ენერგია არ დაუზოგავთ, რათა სრულყოფილად გადადმალათ მაყურებლის წინაშე ნიჭიერი კინომსახიობის სახელოვანი შემოქმედებითი გზა.

ნაჯო ვაჩნაძის საღამო იყო არა მარტო მისი შემოქმედებითი წარმატების გამომხატველი, არამედ ეს იყო ქართული თეატრალური კულტურისა და კინემატოგრაფიის ნიჭიერი ძალების საზოგადოებრივი დათვალიერებაც.

საბჭოთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

14 და 15 აპრილს მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1948 წლის მუშაობის შესახებ. საღამოს სხდომაზე მოხსენებებით ბულგარეთში სამეცნიერო მივლინების შედეგების შესახებ გამოვენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. შანიდე და ნ. ბერძენიშვილი. მოსმენილ იქნება აგრეთვე პროფესორ ვ. ცაცანაშვილის მოხსენება თემაზე „ადგილური გაზომვები ქმიათაში".

15 აპრილის დილის სხდომაზე მოხსენებებს წაკითხავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები: ი. ქუთათელაძე —„მიღწევები საქართველოს სამეურნეო წყლების ნედლეულის გამოყენებისა და გამოყენების დარგში" და ტ. კვარაცხელია თემაზე: „ნიადაგის ეროზია და სამთო მიწათმოქმედების სისტემა"

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესმა უარი თქვა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მოწვევაზე

„ვაშინგტონიდან"

ვასილ კუზნეცოვს

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს

თქვენი მოწვევის პასუხად საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის სახელით უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენ უხეირხლად მიგვაჩნია მოძმე დელეგატების გამოწვევა თქვენს X ყრილობაზე იმის გამო, რაც ამას წინათ მოხდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, რომლის წევრებიც ჩვენ ორივე ვიყავით.

ფილიპ მერეი

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარე 9/IV—49 წ.

ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ოფიციალური პასუხი

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარეს ფ. მერეს გაუგზავნა დეპეშა მოწვევით—საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ორი დელეგატი გამოეგზავნა პროფესიულ კავშირების X საკავშირო ყრილობაზე.

საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევაზე საწარმოო პროფკავშირთა კონგრესმა უარით უპასუხა.

ქვემოთ მოგვყავს სპასუხო დეპეშის ტექსტი:

ლონდონი, 11 აპრილი. (საკუდსი). გაზეთი „დეილი ფორკერი" იუწყება, რომ ინგლისის ლეიბორისტებმა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ატლის ოხსტრაქციაა გაუმართეს, როცა იგი გლასგოსთან იყო. 10 აპრილს, წერს გაზეთი, ატლი გლასგოს ჩავიდა, რათა სიტყვა წარმოთქვა ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის კრებაზე. ატლი იძულებული გახდა კინოთეატრის შენობაში, სადაც კრება უნდა გამართულიყო, გვერდის კართთ შესულიყო, რათა საამქროთა მმასახლისებს არ შეხვედროდა. საამქროთა მმასახლისებს განზრახული ჰქონდათ ატლისათვის გადაეცათ რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ ეარყოფილ იქნას ბიუჯეტი, შემცირდეს შეიარაღების ხარჯები და განვითარდეს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან. ეს რეზოლუცია გადაიეცა ლეიბორისტელი პარტიის წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, ამ რეზოლუციას ატლის ჩაავბარებო.

„დეილი ექსპრესის" კორესპონდენტი იუწყება, რომ, როცა ატლი კინოთეატრის შენობისაკენ მიდიოდა, მას დახვდნენ დემონსტრანტები, რომელნიც გაძახოდნენ: „ძირს საშიშლო ბიუჯეტი". როცა ატლის ავტომობილმა კინოთეატრის ახლოდებარე შესახვევისაკენ მოუხვია, მას შეეხვდნენ დემონსტრანტები, რომელთაც მიჭერნდათ პლაკატები: „ძირს კონსერვატორია ბიუჯეტის!", „მეტი სურსათი მიეცით დაისახლისებს!", „ატლანტიკის პაქტი საფრთხეს უქმნის მშვიდობას!".

„დეილი ფორკერი" იუწყება, რომ იმ შენობასთან, სადაც ატლი გამოდიოდა, შეიდა საპოლიტიკო მიტინგი, რომელზე საამქროთა მმასახლისებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ეროვნულ ეკონომიკაზე ზიანს აყენებს. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ბიუჯეტს გმობს. წესრიგის დასაცავად პოლიციის გაძლიერებული რაზმი გამოიწვიეს.

„დეილი ჰერალდი" თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავს ცნობას ატლის გამოსვლის შესახებ და სრულიად არ ახსენებს საპოლიტიკო დემონსტრაციას.

ინგლისელ ბანკირთა ოჯახებზე ეჭვლის გამოსვლის წინააღმდეგ

ლონდონი, 11 აპრილი. (საკუდსი). გაზეთი „დეილი ფორკერი" იუწყება, რომ ინგლისელ ბანკირთა ოჯახებზე ეჭვლის ოხსტრაქციაა ინგლისის ლეიბორისტებმა ორგანიზეს. ეჭვლის ოხსტრაქციაა ინგლისელ ბანკირთა ოჯახებზე